619
1978
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ოქტომბერი
№ 10 1978 წ.




პლაკატი ჯემალ ლოლუასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოქმედებს, ცოცხლობს, მუშაობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1977 წლის 7 ოქტომბერი ნათელ ნიშანსვეტად შევიდა მსოფლიო ისტორიაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გმირულ მატიანეში. ამ დღეს მოსკოვში, კრემლში სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია — მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

„გაივლის წლები, — აღნიშნა უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — ათწლეულები, მაგრამ ოქტომბრის ეს დღე სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში, როგორც ხალხის ხელისუფლების ლენინური პრინციპების ნამდვილი გამარჯვების მკაფიო დადასტურება. და რაც უფრო წინ წაიწევს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო სრულად გამოიკვეთება ახალ კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის ხელისუფლების, ხალხის ინტერესებისათვის ხელისუფლების უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი“.

უკვე ერთი წელია რაც მოქმედებს, ცოცხლობს, მუშაობს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია.

კომუნიზმის მშენებელთა დიადი ქარტიის თითოეული სიტყვა მშრომელი ხალხისადმი უანგარო ზრუნვით. არის განმსჭვალული. იგი სრულყოფილად ასახავს ხალხის სურვილს, მისწრაფებას, გულისთქმას, რწმენასა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის გზას უნათებს მას.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალი კონსტიტუცია საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს მიზნად სახავს უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

აი, ამიტომაც არის, რომ ჩვენი კონსტიტუცია ერთ მტკიცე, მონოლითურ არმიად რაზმავს საბჭოთა ადამიანებს, ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. თავდადებული შრომისაკენ, ახალი, საგმირო წარმატებათა მოპოვებისაკენ წარმართავს მათ.

შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მშენებლობებზე, ზვრებსა და პლანტაციებში, კულტურის კერებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

სიამაყის გრძნობით აღვსილი, კონსტიტუციით უფლებამოსილი საბჭოთა ადამიანები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ხარაჩოებზე, კიდევ უფრო ფართოდ შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, ეძებენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ახალ გზებს, რეზერვებს.

ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავს ჩვენი მშრომელები თვალსაჩინო მიღწევებით ეგებებიან. წინ უფრო დიდი და რთული გზაა გასავლელი! ჩვენი უპირველესი მიზანი ახლა ის არის, კიდევ უფრო თავდადებით ვიშრომოთ, წარმატებით დავაგვირგვინოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

ყველა მშრომელის შემეცნებაში დღეს შთამაგონებლად ღაღადებს სიტყვები:

— იდიდე, სამშობლოვ, შენ თავისუფალო!

□

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია; მასში ნათლადაა ასახული ჩვენი ქვეყნის განსაცვიფრებელი მიღწევები სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა სფეროში.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია განმსჭვალულია მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით, საბჭოთა ადამიანის უფლებებისადმი უდიდესი პატივისცემით. იგი ხალხთა შორის მეგობრობის, ხალხთა თანასწორობის განმტკიცების საფუძველია.

საბჭოთა ხალხი ახალ კონსტიტუციაში ხედავს კომუნისტური პარტიის სიბრძნეს და მის დაუღალავ ზრუნვას ჩვენი სამშობლოს დიადი მომავლისათვის.

საბჭოთა მეცნიერება, საბჭოთა ინტელიგენცია დაუღალავი შრომით ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, თავდადებული შრომით ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა პირნათლად მოვიხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე, ვიყოთ ღირსეული შვილები ჩვენი დიადი საბჭოთა ეპოქისა.

**არჩილ ძიძიგური,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.

□

ერთი წელი შესრულდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებიდან.

ამ მცირე ხნის მანძილზე ჩვენმა ძლევამოსილმა სამშობლომ დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თავდადებული შრომისა და ბრძოლის ყველა ფრონტზე.

მთელს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია სიამაყის, სიხარულისა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის რწმენით ავსებს თითოეული საბჭოთა ადამიანის გულს.

აი სწორედ საბჭოთა მოქალაქის სიამაყის გრძნობამ, მომავლის ურყევმა რწმენამ, ყველა მშრომელთან ერთად, მეც მომეცა ახალი მიჯნების დაპყრობის გაორკეცებული ძალა და სტიმული.

ერთი წლის მანძილზე თავდადებით ვშრომობდი. შარშან ყოველთვიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ვასრულებდი. წელს კიდევ უფრო საგულდაგულოდ შევუტიე საქმეს. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ყოველი თვის ბოლოს სამშობლოს მივცე 6. 200 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ახალი კონსტიტუციის წლისთავისთვის ჩემი ნობათი ის იქნება, რომ ხუთწლედის მესამე წლის დავალებას ოქტომბრის თვეში გავანაღდებ.

**უშანგი ქარქაშაძე,**

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მღარავი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი.

□

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავს.

გასული ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ ღირსშესანიშნავი მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. უაღრესად დიდმნიშვნელოვანი იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღება.

საბჭოთა ხალხისთვის დღევანდელ ეტაპზე საპროგრამო ნიშანსვეტად გადაიქცა 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება პლენუმზე „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

მე, როგორც სოფლის მეურნეობის მუშაკი, აღმაფრთოვანა, ახალი ძალა და ენერგია შემმატა პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანმა მოხსენებამ.

XI ხუთწლედის გეგმა უკვე წარმატებით შევასრულე. დარწმუნებული ვარ, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი გამარჯვებებით შეეგებება ახალი კონსტიტუციის წლისთავს.

**აიდა გუბაზი,**

გუდაუთის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საკავშირო ალკკ-ის ცკ-ის წევრი.



საქ. სსრ კ. მარქსის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (502), ოქტომბერი, 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1978.









მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

პროლეტარული ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა განუყრელადაა დაკავშირებული მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიასთან.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის ამახვილებდა პარტიის ყურადღებას ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის ამოცანებზე. რსდმპ II ყრილობის რეზოლუციაში „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ“, რომელიც ლენინის მიერააა დაწერილი, მითითებულია, რომ ყრილობა მიესალმება მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას და ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს „...თავიანთი საქმიანობის პირველ რიგში დააყენონ თავიანთ წევრებში მთლიანი და თანმიმდევრული სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება“.

ბოლშევიკები დაუცხრომელ მუშაობას ატარებდნენ ახალგაზრდობასთან, რათა ჩაებათ ისინი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაეცათ მათთვის ძველ მებრძოლთა გამოცდილება. რევოლუციურ ბრძოლაში ჩამოყალიბდა და გამოიწრთო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ახალგაზრდა თაობა. ბოლშევიკების მოღვაწეობის შედეგად მომზადდა ფართო პროლეტარული ახალგაზრდული მოძრაობა. ხოლო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პეტროგრადში, მოსკოვსა და ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში წარმოიშვა მუშა-ახალგაზრდობის წრეები, კომიტეტები, შემდეგ კი — კავშირები.

1917 წ. 7 (20) ივნისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა რუსეთის მუშა ახალგაზრდობის კავშირის სანიმუშო წესდება, რომელიც შემუშავებული იყო ნ. კ. კრუპსკაიას მიერ.

ახალგაზრდული მოძრაობის განვითარებაში მიშვნელოვანი როლი ითამაშა რსდმპ (ბ) VI ყრილობამ (1917 წ. ივლისი-აგვისტო). რეზოლუციაში „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“ ყრილობამ აზრი გამოთქვა დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც განუყრელად იქნებოდა დაკავშირებული პარტიასთან. ამასთანავე ხაზგასმით მიუთითა, რომ „პარტიის ჩარევა მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციულ მშენებლობაში არ უნდა ატარებდეს მის მიმართ მეურვეობის ხასიათს“.

მალე ახალგაზრდობის ორგანიზაციები შეიქმნა მთელს ჩვენს ქვეყანაში. პეტროგრადში შეიქმნა მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი, მოსკოვსა და კიევში მუშა ახალგაზრდობის კავშირი — „მე-3 ინტერნაციონალი“, თბილისში — ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“, ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის კავშირები შეიქმნა ბაქოში, ხარკოვში, დონის როსტოვში, ზლატოუსტში, უფაში, ჩელიაბინსკში, პერმში, ლუგანსკში და სხვა ქალაქებში. მუშათა კლასის გავლენით რევოლუციურად განწყობილ ღარიბ გლეხთა ახალგაზრდული წრეები და კავშირები აღმოცენდა ტულის, ხარკოვის, ვოლოგდისა და სხვა გუბერნიებში.

მშრომელმა ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციაში. მშრომელ ახალგაზრდობას ისტორიაში პირველად შეექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში განვითარების არნახული შესაძლებლობანი.

ქვეყნის სოციალისტურმა გარდაქმნამ პარტიის წინაშე დააყენა ერთიანი ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის ამოცანა. 1918 წ. აგვისტოში შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც მოამზადა ახალგაზრდობის კავშირების დამფუძნებელი ყრილობა. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუსეთის პირველმა ყრილობამ (1918 წ. 29 ოქტომბერი — 4 ნოემბერი) დაქსაქსული კავშირები გააერთიანა საერთო რუსეთის ორგანიზაციად ერთიანი ცენტრით, რომელიც მუშაობდა რკპ(ბ) ხელმძღვანელობით. ყრილობამ მიიღო რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პროგრამისა და წესდების ძირითადი პრინციპები.

ეს იყო მიზნებითა და ამოცანებით კომუნისტური, ხასიათით კლასობრივი, თავისი მოღვაწეობის პრინციპებით თვითმოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში შეესრულებინა „ამძრავი ღვედის“ როლი, პარტია დაეკავშირებინა მშრომელი ახალგაზრდობის ყველაზე ფართო ფენებთან, ყოფილიყო პარტიული გავლენის გამტარებელი მასებში, შეესრულებინა კომუნისტური პარტიის რეზერვის როლი.

რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში. ინტერვენტების, თეთრგვარდიელებისა და ბანდიტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლაში მონაწილეობდა 200 ათასამდე კომკავშირელი. კომკავშირლები თავგანწირვით იბრძოდნენ მტრის ზურგშიც. არალეგალური კომკავშირული ჯგუფები მოქმედებდნენ ოდესაში, რიგაში, სიმფეროპოლში, თბილისში, დონის როსტოვში... მრავალი კომკავშირელი გმირულად დაეცა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. 1919-20 წლებში სამოქალაქო ომის ფრონტებზე კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, თეთრპოლონელების, ვრანგელის თეთრგვარდიული ჯა-

# პარტიის ერთგული თანაშემწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის კომკავშირი 1928 წელს დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.

სამოქალაქო ომის შემდეგ კომკავშირის წინაშე დაისახა მშვიდობიანი, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მშრომელი ახალგაზრდობის მომზადების ამოცანა.

1920 წლის ოქტომბერში შედგა კომკავშირის III ყრილობა. უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პროგრამულ დოკუმენტს, პარტიისა და კომკავშირის მოღვაწეობის სახელმძღვანელოს წარმოადგენს 2 ოქტომბერს ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები", სადაც მან ჩამოაყალიბა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საბრძოლო პროგრამა, ახალგაზრდობის ორგანიზაციების მოღვაწეობის ძირითადი ამოცანები. ამავე დროს მან კომკავშირის ამოცანები მჭიდროდ დაუკავშირა სოციალიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეს.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში კომკავშირმა მთელი თავისი ძალები წარმართა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის წლებში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. ამასთანავე ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სპეკულაციის, მავნებლობის, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობების, ორგანიზებაში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში; კომკავშირლები იბრძოდნენ რელიგიური ცრურწმენების, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის, მეშჩანობის, შრომისადმი ბატონკაცური დამოკიდებულებისა და ყოფაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ.

ოციან წლებში კომკავშირმა გადაჭრით გაილაშქრა ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა დემაგოგიური ულტრამემარცხენე ლოზუნგებით თავის გავლენაში მოექცია ახალგაზრდობა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში კომკავშირლებმა ისწავლეს კლასობრივი სიფხიზლე, შეუპოვრობა მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში, სიმტკიცე სიძნელეების გადალახვაში. პირველ ხუთწლედში კომკავშირის აქტიური მონაწილეობით აშენდა დნეპრჰესი, მოსკოვისა და გორკის საავტომობილო და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნები, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი, თურქესტან-ციმბირის რკინიგზა და სხვა მსხვილი სამრეწველო ობიექტები. დამკვრელობასა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოჩენილი ინიციატივის, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფაში მოპოვებული წარმატებებისათვის კომკავშირი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

კომკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებაში.

მთელი საბჭოთა ხალხის, მისი ახალგაზრდა თაობის მკაცრი გამოცდა იყო 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი. კომკავშირლები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, კომუნისტური პარტიის მოწოდებით აღსდგა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. წითელი არმიის რიგებში უკვე ომის პირველ წელს იყო 2 მილიონამდე კომკავშირელი. არნახული გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს ბრესტის, ოდესის, სევასტოპოლის, სმოლენსკის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადის და სხვა ქალაქების დამცველმა კომკავშირლებმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. მარტო ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ომის პირველ ხუთ თვეში ფრონტზე გაგზავნეს 300 ათასზე მეტი ახალგაზრდა; ლენინგრადის კომკავშირული ორგანიზაციის წევრთა 90 პროცენტი იბრძოდა ქალაქის მისადგომებთან. მტრის ზურგში შეუპოვრად მოქმედებდნენ ბელორუსიის, რსფსრ ოკუპირებული ოლქების, უკრაინის, ბალტიისპირეთის პარტიზანები და იატაკქვეშელები. პარტიზანთა რაზმებში მებრძოლთა 30-45 პროცენტი კომკავშირლები იყვნენ. უკვდავი გმირობა ჩაიდინეს „ახალგაზრდა გვარდიის" (კრასნოდონი), „პარტიზანული ნაპერწკლის" (ნიკოლაევის ოლქი), ლიუდინოვსკის არალეგალური კომკავშირული ჯგუფის (კალუგის ოლქი) და სხვა არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციების წევრებმა.

კომკავშირლები თავდადებით შრომობდნენ ზურგშიც. ახალგაზრდულ კოლექტივებში განვითარდა მოძრაობა საწარმოო დავალების 2-3-ჯერ და მეტჯერ გადაჭარბებისათვის (ორასოვნები, სამასოვნები, ათასოვნები, მრავალდაზგოსნები). ომის დასასრულისათვის მრეწველობაში იყო 154 ათასზე მეტი ფრონტული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა.

1941-45 წლებში კომკავშირში შევიდა 12 მილიონამდე ჭაბუკი და ქალიშვილი. სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა 3500 კომკავშირელმა (მათ შორის 60 ორგზის საბჭოთა კავშირის გმირია); ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 3,5 მილიონი კომკავშირელი. მამაცობისა და გმირობის უკვდავ სიმბოლოდ გადაიქცა ფრონტზე დაღუპული კომკავშირელების ზ. კოსმოდემიანსკაიას, ა. ჩეკალინის, ლ. ჩაიკინას, ა. მატროსოვის, ვ. ტალალიხინის, ნ. ადამიას, ლ. ავალიანის, ზ. რუხაძის, ი. სმირნოვის, გ. მამედოვის, მ. მელნიკაიტესა და სხვათა სახელები. სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისა და სოციალისტური სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის ჩატარებული მუშაობისათვის ლენინური კომკავშირი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

უზარმაზარი სამუშაო შეასრულა კომკავშირმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. 40-50-იან წლებში კომკავშირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მძლავრი ჰიდროელსადგურების, ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობაში, დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენაში. 1948 წელს, 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კომკავშირი დაჯილდოვდა ლენინის მეორე ორდენით.

კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში გაგზავნილი იქნა ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი, მუშები და მოსამსახურეები, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. 1954-55 წლებში ყაზახეთის, ალტაის მხარის, ციმბირის ყამირი მიწების ასათვისებლად კომკავშირული საგზურებით ჩავიდა 350 ათასზე მეტ ახალგაზრდა. მათი შრომა ნამდვილი გმირობა იყო. კომუნისტურ მშენებლობაში, განსაკუთრებით ყამირი მიწების ათვისებაში აქტიური მონაწილეობისათვის კომკავშირი 1956 წლის 5 ნოემბერს დაჯილდოვდა ლენინის მესამე ორდენით.

ლენინური კომკავშირი შემდგომ წლებში აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

კომკავშირი წარმოადგენს რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში სრულიად-საკავშირო ლაშქრობების ინიციატორს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 56 მილიონმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა. მათ აღმართეს 65 ათასი ძეგლი, ობელისკი, მემორიალური ნიშანი. საბჭოთა ხალხის დიდების რელიქვიები ინახება 140 ათასზე მეტ მუზეუმში, მემორიალურ ოთახში და კუთხეში.

1968 წელს ფართოდ აღინიშნა ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში კომკავშირელთა მნიშვნელოვანი დამსახურებისა და მათი დიდი წვლილის, სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობის, სოციალიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის, ლენინის იდეების ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის პოლიტიკური აღზრდისათვის ჩატარებული მრავალმხრივი მუშაობისათვის კომკავშირი დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

თანამედროვე პირობებში კომკავშირის ამოცანები განსაზღვრა სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა და საკ. ალკკ XVIII ყრილობამ. ამ ყრილობებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კომკავშირის, როგორც კომუნისტური პარტიის რეზერვისა და უახლოესი თანაშემწის, ყოველმხრივ მზარდ როლსა და დიდ მნიშვნელობას მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

კომკავშირი ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის სკოლაა, კომუნისტური პარტიის თანაშემწე და რეზერვია. 1918-75 წლებში კომკავშირში გაიარა პოლიტიკური სკოლა 130 მილიონზე მეტმა საბჭოთა ახალგაზრდამ. ამავე პერიოდში სკკპ რიგებში შევიდა 11 მილიონზე მეტი კომკავშირელი. ამჟამად კომკავშირის რიგებში გაერთიანებულია 38 მილიონამდე ჭაბუკი და ქალიშვილი. მათგან 41,3 პროცენტი მუშა და კოლმეურნეა, ხოლო 16 პროცენტი — ინჟინერი, მეცნიერი და მოსამსახურე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი მეექვსე სპეციალისტი და საბჭოთა სკოლის ყოველი მეხუთე მასწავლებელი კომკავშირელია.

დიდია ახალგაზრდობის როლი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ახალგაზრდა თაობა — ეს არის კვალიფიციურ მუშათა, მშენებელთა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა, ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრონომების, მეცნიერთა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკთა, სამხედრო მოსამსახურეთა მრავალმილიონიანი არმია, რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასაც წარმართავს ლენინური კომკავშირი.

შოთა აფრიდონიძე

# დობილები


ხუთწლედის ავანგარდში



მადონა ქარდავა

გვიანობამდე შეჰყვნენ საუბარს.

ასე გაკერპებული არასოდეს უნახავთ მშობლებს თავიანთი ქალიშვილი. აიჩემა და აღარ მოიშალა: გინდა თუ არა, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის ცნობილი მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია გამაცანით, იმის კომკავშირულ ბრიგადაში მეჩაიედ უნდა დავიწყო მუშაობაო.

— სწავლა? — იკითხა მაგიდაზე ჩამოდებულ ხელებზე ნიკაპდაყრდნობილმა მამამ.

მადონა ქარდავამ ახლახან დაამთავრა საშუალო სკოლა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნიჭიერი ქალიშვილი უმაღლესში გააგრძელებდა სწავლას. რა თქმა უნდა, ამაში არც მშობლებს ეპარებოდათ ეჭვი. ახლა კი, გულმოდგინე მეცადინეობის ნაცვლად, მადონა ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აპირებდა მექანიზატორად წასვლას.

— სწავლა? — გაუმეორა შეკითხვა დედამ ჩაფიქრებულ ქალიშვილს.

მადონა გამოერკვა, ხელის გადასმით შეისწორა შუბლზე ჩამოშლილი თმა და მშვიდად წარმოთქვა:

—მუშაობა ხელს არ შემიშლის. ვიმუშავებ და ვისწავლი. კომკავშირულ ბრიგადაში კი აუცილებლად უნდა ვიმუშაო...

მოდი და აუხირდი! მოდი და წინ გადაეღობე ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად გამზადებულ ქალიშვილს!

— კარგი, აღსრულდეს ნება შენი!— გაიღიმა მამამ და ფეხზე წამოდგა,— როგორც გულმა გიკარნახოს, ისე მოიქეცი.

— გულმოდგინედ უნდა იშრომო. იცოდე, სხვანაირად არ ეკადრება ჩვენს ოჯახს!

მართალს ამბობდა დედა.

მადონამ კარგად იცოდა, რომ სწორედ გულმოდგინე შრომის, ხალხისა და სამშობლოს სიყვარულმა მოიყვანა მისი ოჯახი აქ.

ოთხი წლის იყო მადონა როცა ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო. ამ გიგანტური, მართლაცდა საშვილიშვილო ნაგებობის მშენებლობა თავიდანვე გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების ერთ-ერთ უპირველეს და საყოველთაო-სახალხო საქმედ.

უნიკალური მშენებლობა მარტო მუშახელს როდი მოითხოვდა. მისი რთული, სწრაფი, ხარისხიანი მშენებლობისათვის აუცილებელი იყო სხვადასხვა დარგის და სხვადასხვა პროფესიის უამრავი გამოცდილი ადამიანის თავმოყრა.

საქმე მოითხოვდა, დიახ, რესპუბლიკის პრესტიჟი მოითხოვდა, რომ ყველას, ვისაც რით შეეძლო, თავისი წვლილი შეეტანა ამ საშვილიშვილო ნაგებობის მშენებლობაში.

აი, სწორედ ამიტომაც იყო, რომ მადონას დედამ — ანასტასია ბრეგვაძე-ქარდავამ თბილისის ფართო და ნათელი პერსპექტივები მიატოვა, ოჯახის წევრები აიყოლია და კომკავშირული საგზურით ერთ-ერთმა პირველმა მიაშურა ენგურჰესის მშენებლობას.

წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარზენში ჩასული გამოცდილი მედდა წლების მანძილზე ილორის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგედ მუშაობდა. მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, მონდომებას გატაცებითა და თავდადებით ახმარდა ენგურჰესის მშენებელთა ბავშვების აღზრდას და დღემდე წამითაც არ უღალატნია მათთვის.

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. წამოიზარდა მისი ქალიშვილი მადონა, წამოიზარდა და ახლა დედასავით სწორედ იქით გაუწია გულმა, საითაც საქმე, ახალგაზრდული მოწოდება უხმობდა.

უკვე კარგად იყო შებინდებული, როცა საუბარში გართული ოჯახის წევრები წამოიშალნენ მაგიდიდან.

დედამ მხარზე ხელი გადახვია ქალიშვილს, გულში ჩაიკრა და ჩურჩულით უთხრა:

— დამილოციხარ!

●

— რატომ გადაწყვიტეთ ნაზიბროლა ხასაიასთან მუშაობა? — ეს იყო პირველი შეკითხვა, რომლითაც მივმართეთ მადონა ქარდავას.

მოხდენილმა ქალიშვილმა გაიღიმა, ფიქრში წასულმა ახედა ზეცას და ჩვენს შეკითხვას შეკითხვა მოაგება:

— ადამიანი შრომით ფასდება. ხომ ასეა?

— დიახ.

— სახელს და დიდებას ჩვენში შრომა აძლევს ადამიანს. ასეა, არა?

— ასეა.

მადონა ჩაფიქრდა და მაშინვე დასძინა:

— მოდით და ნუ აღგიტაცებთ, მოდით და ნუ მოიწადინებთ იმ ადამიანთან შრომას, რომელმაც გარჯით აი, ასეთი საამაყო ტიტულები მოიხვეჭა...

ჩვენი მოსაუბრე ისევ შეჩერდა წამით და განაგრძო:

— საკავშირო პროფსაბჭოს წევრი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე... აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი...

ჩვეული საამო ღიმილით შემოგვცინის მადონა და განაგრძობს:

— ნაზიბროლა ხასაია კომკავშირის მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ყრილობების დელეგატიც გახლავთ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მან ოქროს მედალი დაიმსახურა... ისიც უნდა ვათქვათ, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ნაზიბროლამ უმაღლესიც დაამთავრა...

— კიდევ გაქვთ სათქმელი?

— რა თქმა უნდა, მაქვს, — იღიმება მადონა, — ჩვენი კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ნაზიბროლა ხასაია დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით...

ყველაფერი გასაგებია! კომკავშირში აღზრდილი ახალგაზრდობის ასეთ საუკეთესო წარმომადგენელთან შრომა, მართლაც რომ სასურველი, სახალისო და საამაყოა ყველასთვის!

●

პირველად გაუჭირდა. დილიდან შებინდებამდე ჩაის პლანტაციაში ფუსფუსსა და ათასგვარ მოძალებულ საქმეს თავს ვერ ართმევდა. მაგრამ მოწადინებამ, საქმის სიყვარულმა, თავდადებულმა შრომამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

შეგხიდაო რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო: კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი ნაზიბროლა ხასაია შემწედ და დამრიგებლად ამოუდგა მადონას მხარში.

— მთავარი მოწადინებაა, — ეუბნებოდა იგი ახალბედა მეჩაიეს, — მეც შენსავით გამოუცდელი მოვედი აქ. თოთხმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად გავედი პლანტაციაში. დამეხმარნენ, მასწავლეს, გულმოდგინედ ვშრომობდი და წარმატებაც შეუფერხებლად მოვიდა ჩემთან.

დიახ, როცა სათანადო საფუძველს ყრი, წარმატება ყოველთვის შეუფერხებლად მოდის ხოლმე!

მადონა ქარდავასთანაც მოვიდა წარმატება. იგი მეორე წელია რაც აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს და რაიონში უკვე იცნობენ მას.

ზოგს თუ მთელი წელი დასჭირდებოდა, კომკავშირელი მადონა ქარდავა ორ-სამ თვეში დაეუფლა ჩაის საკრეფი მანქანის მართვას. არა, მარტო მართვას კი არა, მის ოსტატურად გამოყენებას, დამორჩილებას, დამოუკიდებლად შეკეთებას...

ხუთწლედის მეორე წელი მთელმა ბრიგადამ წარმატებით დაამთავრა. ამ საერთო წარმატებაში კომკავშირელ მადონა ქარდავასაც მიუძღოდა თავისი წვლილი.

წელს კიდევ უფრო დიდი ამოცანები იდგა მთელი მეურნეობის წინაშე. გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობამ შარშან გეგმით გათვალისწინებული 3.800 ტონის ნაცვლად მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 4.450 ტონა „მწვანე ოქრო“, წელს კი მეურნეობის მშრომელებმა გაცილებით მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული აწარმოეს.

მართლაც რომ დიდი, ენით აუწერელი ყოფილა შრომით გამოწვეული სიხარული!

აი, სწორედ ამ დიდ, ენით გამოუთქმელ სიხარულს ეზიარა მადონა, როცა ქართველ მეჩაიეებს გულმხურვალედ მიულოცეს ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დაგვირგვინება.

მთელი რესპუბლიკის დიდ, საერთო წარმატებაში ხომ მასაც მიუძღვოდა პატარა, მართალია, ძალიან პატარა, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი წვლილი! პირად ანგარიშზე მადონამ 40 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

„ჟიგული" რწევით მიუყვება ჩაის პლანტაციისკენ გაჭრილ გზას.

მანქანაში ორნი სხედან — მადონა ქარდავა და დასავით განუყრელი მისი მეგობარი მედეა ლატარია.

კომკავშირელი მედეა ლატარია უკვე მეშვიდე წელია, რაც ნაზიბროლა ხასაიას ბრიგადაში მუშაობს. მოწინავე მექანიზატორი სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლასაც ასწრებს და გეგმებსაც ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

საჭესთან მიმჯდარი მედეა კომკავშირული ბრიგადის ნაკვეთისკენ აბრუნებს მანქანას.

ჩაის პლანტაციაში სამუშაოს რა გამოლევს! სექტემბრის ბოლოდან ბრიგადის წევრებმა ლაოჩაის კრეფა დაიწყეს და ჩვეული გულმოდგინებით დატრიალებენ ბუჩქებთან.

დამთავრდება ლაოჩაის კრეფა და მერე ნიადაგის ღრმა გაფხვიერებაა საჭირო, მერე მინერალური სასუქების შეტანა, სხვლა, შერჩევითი ხვნა და ათასგვარი სხვა სამუშაო.

ყველა სამუშაო გათვალისწინებული აგროწესების დროული დაცვით უნდა ჩაატარონ მეჩაიეებმა.

მედეა ლატარიამ შორიდანვე მოჰკრა თვალი ბრიგადირს.

— უყურე, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ მადონას, — ნაზიბროლა უკვე აქ არის.

ასეა ხშირად: დილაბნელზე მედეა და მადონა მანქანით ამოირბენენ ნაკვეთში და კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი უკვე იქ ხვდებათ ხოლმე.

ახლაც ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოსთან" დაფუსფუსებდა ნაზიბროლა. როცა დობილებს მოჰკრა თვალი, გაიღიმა და ხელისაწევით მიესალმა მათ.

პლანტაციაში ნელ-ნელა მოჯარდნენ მეჩაიეები...

— დავიწყოთ? — იკითხა ნაზიბროლამ.

— დავიწყოთ! — მაშინვე დაუკრეს კვერი ბრიგადირს.

ნაზიბროლა შეჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდა, მადონას გახედა და დაინტერესებით იკითხა:

— იმეცადინე?

— აბა რა, — გაიღიმა მადონამ,— ყოველ საღამოს ვმეცადინეობ... მომავალ წელს აუცილებლად უნდა ჩავაბარო მისაღები გამოცდები...

ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო. თანდათან აჰყვნენ. შრომა უფრო გახურდა და სახალისო გახდა.

**ეთერ ჩილაჩავა**



მადონა ქარდავა
და
მედეა ლატარია



ნაზიბროლა ხასაია

შესვენება







# დიდი გამარჯვება!

**დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები კვლავაც მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ, ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეტ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.**

**ლ. ი. ბრეჟნევი**

მეჩაიეებისადმი 1977 წლის მისალმებიდან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ღირსეული საჩუქარი მიუძღვნეს: 1978 წლის 30 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია და გადამუშავებულია 420.553 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით გათვალისწინებული 420 ათასი ტონისა და წლიური გეგმით გათვალისწინებული 370 ათასი ტონის ნაცვლად.

ეს დიდი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის სასიხარულო წარმატება მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, ნოვატორული მეთოდების დანერგვით, თავდადებული შრომით, იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ანხორციელებენ მეჩაიეობის რაიონების პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა შარშან საქართველოს მეჩაიეებისადმი, თავის გულთბილ მისალმებაში რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები კვლავაც მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ ჩაისა და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს მეჩაიეებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი და ხარისხოვანი ჩაის სარეკორდო მოსავალი მიიღეს. წინ ახალი მიჯნებია დასაპყრობი. ეჭვს გარეშეა, შრომაში ნაცადი მეჩაიეები კვლავაც ისახელებენ თავს და ახალი შრომითი ნობათებით გაახარებენ დედასამშობლოს.

# ლექსები

დილარ ივარდავა,

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი

## სიჭაბუკის სიმღერები

I

მემატიანევ, დინება დროთა,
ჩვენ ვიცით ახლა რარიგ მძაფრია...
სისხლივით ერთვის ძიება, შფოთვა,
ჩემი თაობის ბიოგრაფიას!
არგაგონილი და არნახული
ომის ღვარცოფი აკვანს გვირწევდა...
ცეცხლის ტევრებით შემოხლართული
ჩვენი ბავშვობა დარჩა იმ წლებთან...
ახლა, სამშობლოვ, საქმე მართალი
შრიალებს, როგორც ფრთები საფრენი
და ჩვენი სისხლიც შენად ჩასთვალე:
რწმენის, ძიების, ლტოლვის აფრებით.
დედაო ჩვენო, შენი განძია,
ჩვენი ზესწრაფვა, სიტყვა, ფიქრები, —
ახალ გელათს და ახალ ვარძიას
ალვაშენებთ და...
ერთად ვიქნებით.

არსმენილი და ჯერ არნახული
დგას შვილთა შენთა ნათლის სიახლე,
ვართ დღევანდლობის გულით მსახურნი —
მწვერვალებზედაც უნდა ვიაროთ!
ჩვენი ყოველი ფერი თუ ბგერა,
აზრი თუ წვდომა კვირტად იფეთქებს,
უკვე ვგუგუნებთ
მთებში და ველად:
შენდა სიმაღლედ,
შენდა სიკეთედ!

II

ეს საოცარი — ნახტომი ახლა,
ვით ალტაცება მამულს ეკუთვნის,
დროშას უძველეს სინდისად ახლავს,
მგოსნის სიწმინდე,
ფიქრი მეგუთნის.
შენ სიჭაბუკევ, წერდი თუ შლიდი,
ხალხში ტრიალი დევგმირად გხდიდა
და ასე გახდი სიცოცხლის ხიდი,
ასეც დარჩები მომავლის ხიდად.
ბნელში აენთე, — შუქად მოხვედი,
ლოდებსაც დაშლი, ვიცი, ამ ფესვით,
უნდა აქციო ბაღად კოლხეთი,
როგორც დაფერფლე ღამე ჩაჭესით...

მუდამ მოქმედი, ფიცხი, ერთგული,
მწვერვალთან ღელავ, ელვავ, ფრთიანო!
შენი არაგვი,
შენი ენგური
კვლავაც შენს გმირულ საქმეს ხმიანობს!
ეს სიმფონია, წვა თუ გალობა, —
კვლავ სიჭაბუკის ხმებში გაისმა...
ილვის და...
მალე შთამომავლობა
შენს მართალ აზრებს სიბრძნედ აისხამს.

III

მამულო, გახდა ის შენი სუნთქვა, —
შენი მუხა და შენი ვენახი, —
ციალებს, კრთება წყაროზე სუფთა
და მწვერვალების რიგი ეძახის.
შენი ფესვია, შენი ძარღვია,
ლაჟვარდებს ფატრავს არწივის მზერით —
უხმობს კოსმოსში ზეცა კარლია,
რომ თვალი დაჰკრან მთვარეზე ზევით.
ხვალინდელ მიზანს და დღეთა სითბოს
ჩახლართულია ძელქვის ფესვებად,
მშობლიურ ხალხზე სიზმარშიც ფიქრობს
და ამ სიყვარულს არ დაეხსნება,



# მშენებელი

დღითი დღე იზრდება, თანამედროვე ტიპის მრავალსართულიანი შენობებით მშვენდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი.

მშენებელთა წინაშე დიდი ამოცანები დგას: მათ უნდა აშენონ ეკონომიურად, მაღალხარისხოვნად, საამშენებლო გრაფიკის ზუსტი დაცვით.

ხუთწლედის მესამე წელი, მისი მჩქეფარე რიტმი თავდადებული შრომისკენ უხმობს მშენებლებს. აი, ამიტომაც არის, რომ ხარაჩოებში ჩამჯდარ შენობებთან საქმეში გართული დატრიალებენ მშენებლები, ყველგან იგრძნობა თავდადებული შრომა, მონდომება, გულმოდგინე შემართება.

ჩვენი ქალაქის მშენებლობებზე ხშირად ნახავთ მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის მე-4 სამმართველოს უფროსს ნოდარ ამაშუკელს.

გამოცდილი სპეციალისტი ჩვეული გულისყურით დატრიალებს მშენებლებთან, ამოწმებს მათ ნახელავს, საჭირო მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს იძლევა.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვიქტორ ჯეირანელმა ფოტოფირზე აღბეჭდა რამდენიმე ასეთი საგულისხმო ეპიზოდი. მკითხველებს ვთავაზობთ ამ სურათებს.



- ნოდარ ამაშუკელი
- დილა
- ცამდე აწვდილი ამწე.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მშენებლობაზე.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

# ხუთწლედის ადამიანები

მან იცის რაა ცრემლები დედის,
იცის დაცემულ მამებზე დარდი...
და რომ გაშალა ზღვასავით მკერდი —
დედამიწაზე აპრილად დადის.
ის ჰქმნის და ილვწის —
ხიმაღლე შენი,
მისი ჰანგები და ჩუქურთმები,
ხან მქუხარე და ხანაც უთქმელი.

ჩემო სამშობლო, დღეს უკვე გშვენის
ის, როგორც სუნთქვა
და ცხელი სისხლი,
ფუტკარივით ხომ წამით არ ცხრება,
ხაქმე,
მიზანი და რწმენა მისი,
მუდამ იცოცხლებს, —
არ დამარცხდება!

არ დაიღლება შენი მხატვარი,
სული მიუგავს ანთებულ კოცონს,
გაიხედე და... ირგვლივ რაც არი.
მისი საქმით და სინედლით ცოცხლობს.

მემატიანევ, დინება დროთა,
ჩვენ ვიცით კარგად, რარიგ მძაფრია...
სისხლივით ერთვის ძიება, შფოთვა,
ჩემი თაობის ბიოგრაფიას!

ვლადიმერ გრინჩუკოვი

## ობელისკი

აქ, სადაც მეფობს
            დუმილი მკაცრი
და ყორღანია
            დონეცკის ველად,
დგას ობელისკი
            ხიშტივით ბასრი,
ცას ებჯინება
            და მზეში ელავს.
ცივ გრანიტს
            ისევ ფრთხილად ვეხები,
როგორც პირველად,
            დიდი ხნის წინათ...
როცა აისი
            წითლად შეღებავს
ბალახებს, —
            ცვარი სისხლივით ბზინავს.
და ვამბობ:
            ჩემი ბედის ვარსკვლავი,
მჯერა,
            იბრწყინებს ყველგან მანამდე,
სანამ მამხნევებს,
            სანამ ანათებს,
ეს ობელისკი
            შუქურასავით.

## დედის ხელები

წვიმა რომ მცემდა
            განუწყვეტელი
და მერყეოდა
            ფიჩხებქვეშ ფუძე,
გამხსენება
            დედის კეთილი
ხელები —
            წვიმა შემწყდარა უცებ.
როცა მციოდა
            და ვახველებდი —
იმ მკაცრი ზამთრის
            ჭარდა ატანა,
მოსიყვარულე
            დედის ხელები
მკერდში მიკრავდა
            როგორც პატარას.
მათ ჭერაც ახსოვთ
            მიწა აყალო,
გაჭრილ სამარის
            დარდი და სევდა.
მაინც მგონია:
            მთელი სამყარო
კეთილ ხელებში
            უჭირავს დედას.

თარგმნა ხუტა გაგუამ







# ლ. ტოლსტოი

ქართველმა ხალხმა მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად აღნიშნა უდიდესი მწერლის ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავი.

ქართველი ხალხისათვის მეტად ახლობელი და საყვარელია ლევ ტოლსტოის შემოქმედება. თბილისსა და კავკასიაში ყოფნის დროს მწერალმა დაწერა თავისი ბრწყინვალე მოთხრობა „ბავშვობა“, რომლიდანაც დაიწყო მწერლის დიდი ლიტერატურული გზა.

კავკასიის ომების შთაბეჭდილებებით ტოლსტოიმ შექმნა თავისი უკვდავი ნაწარმოები „ჰაჯი მურატი“.

ქართველი მკითხველი ყოველთვის სიხარულით ხვდება დიდი მწერლის ნაწარმოების ქართულ თარგმანს. გთავაზობთ ლ. ტოლსტოის მოთხრობას „სოფლური სიმღერები“, რომელიც თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.

## სოფლური სიმღერები

სიმღერა და გარმონის ხმა თითქოს ძალზე ახლოდან ისმოდა, მაგრამ ნისლში არავინ ჩანდა. უქმე დღე არ იყო და გამიკვირდა, — ამ დილაუთენია ვინ მღერის-მეთქი.

„ალბათ, რეკრუტის ხალხს აცილებენ“. — წინადღეს ყურმოკრული გამახსენდა: ჩვენი სოფლიდან ხუთნი გაჰყავთო. გამახსენდა და გულმა თავისდაუნებურად იქითკენ გამიწია, საიდანაც ის მხიარული სიმღერა მოისმოდა. მომღერლებს რომ მივუახლოვდი. სიმღერაც მიწყდა და გარმონიც მიყუჩდა. მომღერლები. ანუ გასაცილებელი ბიჭები ქვის ქოხში შევიდნენ, ერთ-ერთი წვევამდელის ჩამას შეუარეს. კარის წინ დედაკაცები, გოგონები, ბალღები მოქუჩებულიყვნენ. ვიდრე მე ქალებს ვეკითხებოდი, ვისი და ვისი ბიჭები მიდიან ჯარში და ქოხში რაღაზე შევიდნენ-მეთქი, იქიდან თავიანთ დედებთან და დებთან ერთად ის წვევამდელებიც გამოვიდნენ. ხუთნი იყვნენ: ოთხი უცოლო, და ერთიც—ცოლიანი. ჩვენი სოფელი ქალაქს აკრავს და თითქმის ყველა წვევამდელი ქალაქში მუშაობდა, კიდეც ამიტომ, ქალაქურად ეცვათ, ეტყობოდათ, საუკეთესო ტანსაცმელში გამოწკეპილიყვნენ: ეს პიჯაკებით, ეს ახალთახალი კარტუზებით, ესეც დარდიმანდული მაღალყელიანი ჩექმებით. ბუნებრივია, ყველაზე მეტად თვალში სხვაზე ქვიჯა, მაგრამ მკვრივად შეკრული, მხიარული, ცოცხალი, კეთილი სახის, ეს-ესაა ულვაშშეგინგლული, ოდნავ წვერმოშვებული, მოციმციმე თაფლისფერთვალება ბიჭი მოგხვდებოდათ. ქოხიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე ზურგზე მოგდებული ვეება ძვირფასი გარმონი მოირქვა მკერდზე, თავი მდაბლად დამიკრა, თითებით სწრაფად ჩაირბინა კლავიშები, მხიარული **„барыня“** გარეკა და ტაქტის მიყოლებით, თამაშ-თამაშით ქუჩის პირს გაჰყვა.

გვერდით მისივე ტანის, ჭმუხი, ქერა ყმაწვილი მიჰყვებოდა. იგი მკვირცხლად, ცქვიტად იხედებოდა აქეთ-იქით და ყოჩაღად ეუბნებოდა ბანს გარმონიანის წკრიალა მოძახილს. სწორედ ეს მობანე გახლდათ ცოლიანი. გარმონიანი და ცოლიანი წინ მიდიოდნენ, სხვებნი — სამნი — ასევე კარგად ჩაცმულები, წინეებს კვალში მისდევდნენ და ერთმანეთისაგან არაფრით გამოირჩეოდნენ, ოღონდ ერთი მათგანი სხვებზე წოწოლა იყო.

მე სხვებთან ერთად მივსდევდი ამ ბიჭებს. სულ მხიარულ, გიჟმაჟურ სიმღერებს მღეროდნენ და აქამდე, გზაზე, წუხილი ოდნავადაც არ შეტყობიათ, მაგრამ როგორც კი მორიგ სახლს მიადგნენ, სადაც, ალბათ, ასევე სუფრა უნდა ყოფილიყო მათთვის გაშლილი, და შეჩერდნენ, ქალებმა ერთი წიოკობა და ვაი-უშველებელი მორთეს. ძნელი გასარჩევი იყო, რას მოთქვამდნენ. მხოლოდ ცალკეული სიტყვები ისმოდა გამოკვეთით: მიდის... შორს... ბეჩავი... და ყოველი სიტყვის შემდეგ მოთქმით მოტირალი ქალები სულს იბრუნებდნენ, ჯერ გაბმით კვნესას იწყებდნენ, შემდეგ კი ისტერიულ ხარხარზე გადადიოდნენ, ბჟირდებოდნენ. ესენი რეკრუტში მიმავალთა დედები და დები იყვნენ... მათი მოთქმის გარდა სხვების ყაყანიც აყრუებდა იქაურობას. ვინ რას ეუბნებოდა გაწვეულთა ახლობლებს და ვინ რას. „კარგი, გეყოფა, მატრონა, მეტი აღარ შემიძლია, გავთავდიო“, გავიგონე როგორ ევედრებოდა ერთი ქალი მოთქმით მოტირალ დედაკაცს.

ბიჭები ქოხში შევიდნენ, მე მარტო დავრჩი და საუბარი გავუბი ნაცნობ გლეხს—ვასილი ორეხოვს, ჩემს ნამოწაფარს. ის მობანე ცოლიანი ყმაწვილი სწორედ ვასილის ვაჟი იყო.

— რაო? გეცოდება? — ვკითხე ვასილს.

— რა ვქნა მერე მე? მეცოდება თუ არ მეცოდება, ჯარში უნდა იმსახუროს, ასეა.

ვასილიმ თავისი ოჯახის ამბავი მიამბო. სამი ვაჟი ჰყოლია: ერთი — შინაა, ერთიც ესაა, ახლა რომ ჯარში მიდის, მესამე ამ მეორესავით, ჯარში რომ მიდის, ხელზე მოსამსახურედ იდგა და კარგი შემომტანი იყო. ესა კიდევ, ჯარში რომ მიდის, ეტყობა, ვერ იყო ოჯახისთვის ხელბარაქიანი. „ცოლი ქალაქელი ჰყავს, ეგა ჩვენს საქმეში გამოუსადეგარია. არი რა, მისთვის. თავს მაინც ირჩენდეს ეს ბიჭი, მეტი რა უნდა მოთხოვო. ისე, კი მეცოდება, რაც მართალია, მართალია, მაგრამ რა გაეწყობა, რა“.

ვიდრე ჩვენ ვმუსაიფობდით, ბიჭები ქუჩაში გამოვიდნენ და ისევ ატყდა წივილ-კივილი, მოთქმაგოდება, ხარხარი, ყაყანი — არა ასე მოიქეცი და არა ასეო, — ექიჩმაჩებოდნენ წვევამდელთა ახლობლებს. იმ სახლის კართან ხუთიოდე წუთი დაჰყვეს, მერე გზა განაგრძეს და ისევ დასცხო გარმონმა და ისევ გაისმა სიმღერები. შეუძლებელი იყო არ გაოცებულიყავით, რა ენერგიით და დაუოკებელი ჟინით უკრავდა მეგარმონე, რა ზუსტად იცავდა ტემპს, რა მარჯვედ ბუქნაობდა, შემდეგ, წელში გამართული, წამით ყუჩდებოდა და მერე, ისევ და ისევ, მხიარულ, გიჟმაჟურ შეძახილს ამბობდა და თან აქეთ-იქით აცეცებდა, კუსავდა თაფლისფერ, ალერსიან თვალებს. ნამდვილი და დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონი იყო, უეჭველად... მე მას მივჩერებოდი და როცა კი ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდა, — ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა, — იგი თითქოს იმმუშნებოდა, წარბებს გვერდზე ჰყრიდა, ზურგს მიბრუნებდა და კიდევ უფრო თავგამეტებით ბუქნაობდა და გაჰკიოდა. როცა უკანასკნელ, მეხუთე ეზოს მიადგნენ და ბიჭები სახლში შევიდნენ, მეც შევყევი. ბიჭები, ხუთივენი, სუფრაგადაფარებულ მაგიდას მიუსხდნენ. მაგიდაზე პური იდო და ღვინო იდგა. მასპინძელი, სწორედ ის გლეხი, რომელსაც მე ვემუსაიფებოდი და რომელიც ცოლიან შვილს აცილებდა, ღვინოს ასხამდა და ბიჭებს სთავაზობდა. ბიჭები თითქმის არ სვამდნენ, მეოთხედზე თუ აკლებდნენ პატარა ჭიქას ან უბრალოდ, ისე მიჰქონდათ ტუჩთან და უკანვე უბრუნებდნენ მასპინძელს. დიასახლისი პურის კვერს ჭრიდა და მისატანებლად ბიჭებს აწვდიდა. მასპინძელმა ჭიქებში ღვინო ჩაუმატა და ისევ მისთავაზა წვევამდელებს. ამ დროს, როცა ბიჭებს თვალს არ ვაცილებდი, ღუმელიდან, ზედ იმ ადგილთან მე რომ ვიჯექი, ჩემთვის ძალზე მოულოდნელად და უცნაურად მორთულ-მოკაზმული ქალი ჩამოძვრა. მოდური სამკაულებით გაწყობილი ღია მწვანე კაბა, — როგორც ჩანს, აბრეშუმისა, — და მაღალქუსლიანი ჩექმები ეცვა. ქერა თმები მოდურად დაევარცხნა და ოქროს დიდი მრგვალი საყურეები ეკეთა. ქალს სახეზე არც ნაღველი ეწერა და არც სიხარული, მაგრამ რაღაც განაწყენებასავით კი ეტყობოდა. იგი თავისი ახალი ჩექმების მაღალი ქუსლების ბაკუნ-ბაკუნით ისე გავიდა, რომ ბიჭებისკენ არც გაუხედავს. ამ ქალისა ყველაფერი: სამოსელიც, განაწყენებული სახეც, განსაკუთრებით კი საყურეები იმდენად უცხო ჩანდა აქაურობის ფონზე. ვერაფრით ვერ გამეგო, როგორ და რანაირად შეიძლებოდა იგი აქ, ვასილის ქოხში, ამ ღუმელზე მოხვედრილიყო. ჩემს გვერდით მჯდომ ქალს ვკითხე, ვინაა-მეთქი.

— ვასილის რძალია. ეგა დამლაგებელი იყო, — მომიგო ქალმა.

მასპინძელმა მესამედ მოინდომა ჭიქების შევსება, მაგრამ ბიჭებმა მეტი ჭამა-სმა იუარეს, წამოდგნენ, პირჯვარი გადაიწერეს, მადლობა გადაიხადეს და ქოხიდან გავიდნენ. ქუჩაში მაშინვე ტირილი და ღნავილი მორთეს. სხვებზე ადრე მოთქმა-გოდება დაიწყო ქოხიდან ბიჭების კვალდაკვალ გამოსულმა ძალზე მოხუცმა, წელში მოკაკულმა დედაბერმა. იგი ისე რაღაც სხვანაირად, საწყალობლად მოთქვამდა და ღნაოდა, ისე გულდამდუღრული ტიროდა, რომ ქალებმა ერთხმად დაუწყეს დამშვიდება და თან ხელით აკავებდნენ, რადგან აღმუვლებული დედაბერი, ცოტაც და მიწაზე დავარდებოდა. ეგ ვინაა-მეთქი ვიკითხე. ეგა ბებიაა, ვასილის დედააო.

როგორც კი დედაბერმა ისტერიული სიცილი ატეხა, და ჩაბჟირებული, ქალების ხელებზე მისავათდა, ისევ გაისმა გარმონისა და მხიარული სიმღერის ხმები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ბოლოს მოაყენეს ოთხთვალა ფორნები, რომლებსაც წვევამდელები ცენტრამდე უნდა მიეყვანა და ყველანი გაჩერდნენ. ტირილი და მოთქმა უკვე აღარ ისმოდა. მეგარმონემ კი უფრო და უფრო აიწყვიტა. თავი გვერდზე გადაეხარა, ცალ ფეხს დასწოლოდა, მეორე, უკუშეტრიალებული ფეხით ტაქტს მირეკავდა, ხელებს კი სწრაფად და ლამაზად ათამაშებდა. სადაც საჭირო იყო, მის წკრიალა, მხიარულ მოძახილს ვასილის წოწოლა, მარჯვე ბიჭი თავის სასიამოვნო ბანს აყოლებდა. ბებრებიცა და ახალგაზრდებიც, განსაკუთრებით კი ირგვლივ მოჯარული გოგო-ბიჭები და მათ გვერდით მეც, — ჩვენ ყველანი, — თვალს ვერ ვაშორებდით სიმღერადქცეულ ბიჭს, ვუყურებდით და ვტკბებოდით.

— მაგარია ეგ მამაძაღლი! — იყვირა ვიღაცამ ჩემს ზურგს უკან.

ამ დროს მეგარმონესთან ენერგიულად მიაბოტა ერთმა გასაცილებელმა ყმაწვილმა, ყველაზე ტანმაღალი რომ იყო, იმან. მეგარმონისკენ დაიხარა და რაღაც უჩურჩულა.

„რამხელა ვაჟკაცია, — გავიფიქრე, — ამას ნამდვილად რომელიმე გვარდიაში ჩარიცხავენ“. არ ვიცოდი ვისი შვილი იყო.

— ეგ ვისი შვილია? — ხელით ვაჩვენე ზორბა ყმაწვილი ჩია ბერიკაცს, რომელიც ის-ის იყო მომიახლოვდა.

ჩია ბერიკაცმა ქუდი მოიხადა, მდაბლად თავი დამიკრა, მაგრამ ვერ კი გაიგო, რა ვკითხე;

— რა მიბრძანეთ?

თავიდან ვერ ვიცანი, მაგრამ როგორც კი დაილაპარაკა, გამახსენდა ეს მშრომელი, კარგი გლეხკაცი, რომელსაც, თითქოს ხატზე გადაუციათო, ბევრჯერ მიეწია ქვა აღმართში: ჯერ იყო და ორი ცხენი მოპარეს, მერე სახლი დაეწვა, შემდეგ ცოლი მოუკვდა. თავიდან იმიტომ ვერ ვიცანი, რომ კარგა ხანია არ მენახა, თანაც, პროკოფი ჟღალ-წითური და საშუალო ტანისა მახსოვდა, ახლა კი ჩემს წინ უკვე ჭაღარა და საპნის ნალევივით ბერიკაცი იდგა.

— აჰ, ეს შენა ხარ პროკოფი, — შევეხმიანე, — ვისია-მეთქი ეს ზორბა ბიჭი, გეკითხები, ალექსანდრესთან რომ მივიდა?!

— ესა? — გაიმეორა პროკოფიმ და თავი ზორბა ბიჭისკენ გაიქნია. მერე რაღაც ჩაიჩიფჩიფა, მაგრამ რა — ვერ გავიგონე.

— ვისია-მეთქი, ადამიანო, ის მაღალი ბიჭი? — ვკითხე და პროკოფის მივაჩერდი.

სახე შეეჭმუხნა, ღაწვები აუკანკალდა.

— ჩემია ეგა! — მითხრა და შეტრიალდა, სახეზე ხელები აიფარა და ბალღივით აზლუქუნდა.

და მხოლოდ ახლა, როცა გავიგონე პროკოფის ეს ორად ორი სიტყვა „ჩემია ეგა,“ მე არა მარტო გონებით, არამედ მთელი ჩემი არსებით შევიგრძენი მთელი საშინელება იმისა; რაც იმ დაუვიწყარ ნისლიან დილით ხდებოდა ჩემ თვალწინ. ყველაფერმა, რაც ვნახე, — აქამდე უცნაურმა, გაუგებარმა, ერთმანეთისაგან გათიშულმა სურათებმა, — უცებ, ერთ წამში შეიძინა ჩემთვის მარტივი, ცხადი და თავზარდამცემი მნიშვნელობა. სირცხვილის ცეცხლი მომეკიდა იმის გამო, რომ აქამდე ყოველივე ამას, როგორც საინტერესო სანახაობას, ისე ვუყურებდი. არაფერი მითქვამს. შინ რომ მივბრუნდი, უმსგავსო საქციელის ჩამდენი კაცის გუნებაზე ვიდექი.

მოდით, დავფიქრდეთ, რა საშინელებაა, რომ დღეს მთელ რუსეთში ათასობით და ათიათასობით ადამიანი ასეთ დღეშია და კიდევ დიდხანს იქნება ამ დღეში ეს მორჩილი, თვინიერი, წმინდა და ასე სასტიკად, ასე ვერაგულად მოტყუებული რუსი ხალხი.

1909 წლის 8 ნოემბერი.
იასნაია პოლიანა.

# მეცნიერება-სოფელს

## ვაზის ახალი ჯიშები

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის მუშაკებმა ვაზის მრავალი ახალი ჰიბრიდული ფორმები და ჯიშები გამოიყვანეს. მათგან აღსანიშნავია სუფრის საგვიანო ჯიშები „თბილისური“ და „მუსკატური რქაწითელი“, რომელთა ავტორები არიან პროფესორი ვ. ქანთარია და დოცენტი ნ. ჩახნაშვილი. ასეთი ჰიბრიდული ჯიშები მიღებულია ძვირფასი ქართული აბორიგენული რქაწითელისა და ეგვიპტური „ალექსანდრიული მუსკატის“ შეჯვარების გზით.

ორივე ჯიშის ყურძენს გააჩნია საუკეთესო თვისებები, იძლევა უხვსა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. დიღმისა და მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობებში საჰექტარო მოსავალმა შპალერზე ფორმირების პირობებში 150-200 ცენტნერი ყურძენი შეადგინა, ხოლო ტალავერზე — 300-400 ცენტნერი. შაქრიანობა 18-22 პროცენტამდე ადის, მჟავიანობა — 5,5-7 პროცენტია. ეს ჯიშები ძვირფასია სასუფრედ, აგრეთვე ორდინალური ტიპის ღვინოების დასამზადებლად, რომლებმაც დეგუსტაციებზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ეს ძვირფასი ჯიშები ოთხ ჰექტარზე გაშენდა. მომავალში ისინი ფართოდ დაიმკვიდრებენ ადგილს საქართველოს მევენახეობის რაიონებში. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრა ვალდებულებას კისრულობს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს მოუმზადოს დიდი რაოდენობის საკვირტე მასალა და მაღალხარისხოვანი ნერგი.

## იკვლევენ სვანეთის ფლორას

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი ჯგუფი სამი წელია აწარმოებს სვანეთის მცენარეული საფარის შესწავლას.

მეცნიერებმა შეისწავლეს ქვემო სვანეთისა და მესტიის ე. წ. დაბლა ზონის მცენარეთა სამყარო. ეხლა ექსპედიცია მარადთოვლიანი შხარის მთების ძირას განლაგებულ სოფელ უშგულის შემოგარენის ფლორას სწავლობს. მთელ სვანეთში, განსაკუთრებით კი ამ მიდამოებში, მრავალი ჯიშის ძვირფასი მცენარე და ბალახია, რომლებიც სხვაგან თითქმის არსად არ გვხვდება.

გამსვლელ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც სვანეთში გაიმართა, განიხილეს ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა რეკომენდაციები რესპუბლიკის ამ მაღალმთიანი ზონის მცენარეული საფარის აღდგენისა და გაუმჯობესების, ტყის უსისტემო ჩეხვის შეწყვეტისა და ფერდობებზე ხეების დარგვის, ყინვაგამძლე ხეხილის ჯიშების დანერგვის საკითხებზე.

ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს წიგნს სვანეთის მრავალფეროვანი ფლორის შესახებ.

## დიაგნოზს უსვამს... მცენარეს

ტყემ, როგორც ძვირფასი ნედლეულის მერქნის წყარომ და ბიოსფეროს მაცოცხლებელმა ელემენტმა, განაპირობა მეცნიერთა დიდი ინტერესი მერქნიან მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის, გენეტიკა-სელექციისა და ეკოლოგიისადმი. თბილისის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში დაიდგა ხელოვნური კლიმატის კამერა, რომლის მოცულობა შესაძლებლობას იძლევა აწარმოონ დაკვირვება ორ მეტრამდე სიმაღლის მერქნიან მცენარეებზე, გამოავლინონ მცენარეთა ყინვაგამძლე. სწრაფმზარდი და მაღალპროდუქტიული ჯიშები.

— კამერა მცენარეს უსვამს ზედმიწევნით სწორ დიაგნოზს, რომლის საშუალებითაც ლაბორატორია შეისწავლის ჩვენი ტყეების ჯიშებში მერქნის ჩამოყალიბების და კამბიუმის აქტივობის თავისებურებებს, მერქნის სარეზონანსო თვისებებს და ტექსტურას, მის ულტრასტრუქტურას ელექტრონმიკროსკოპულ დონეზე, რის საშუალებასაც გვაძლევს ელექტრომიკროსკოპი „ტესლა“. შევისწავლით აგრეთვე ტყის ჯიშების მერქნის ფიზიკურმექანიკურ თვისებებს და ნაკლებად შესწავლილი ჯიშების მერქნის გამოყენების პერსპექტივებს სახალხო მეურნეობაში, — გვითხრა ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გამგემ, პროფესორმა ელდარ ლობჟანიძემ.

## მევენახეს შრომას შეუმსუბუქებს

ლაბორატორიული და საწარმოო გამოცდა წარმატებით გაიარა და ქარხანა „საქსოფლმანქანაში“ მალე შეუდგებიან ე. წ. ფრეზას მარკის მანქანების სერიულ წარმოებას.

ეს არის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომელიც შექმნეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების თანამშრომლებმა.

ახალი მანქანა განკუთვნილია ვენახებში ერთდროულად რიგთაშორის და ვაზებს შორის ნიადაგის დასამუშავებლად. მანქანა დღეში ამუშავებს 5-6 ჰექტარს და ცვლის 60-მდე კაცს, იგი მთლიანად გამორიცხავს ხელით შრომას ზვრებში, რამდენჯერმე ზრდის მწარმოებლობას.

ახალი ქართული მარკის მანქანით უკვე დაინტერესდნენ აგრეთვე მეზობელი რესპუბლიკის მევენახეები.

## ოვალური კვლების სიკეთე

კოლხეთის დაჭაობებული მიწების ათვისების პრობლემა ახლა განსაკუთრებით ფართოდ დგას მეცნიერებისა და სპეციალისტების ყურადღების ცენტრში.

ამჟამად ხობის რაიონში 140 ჰექტარ ფართობზე აპრობაციას გადის ე. წ. ოვალური კვლები. იგი წარმოებას ერთობლივად შესთავაზეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ და ინსტიტუტმა „საქსახწყალპროექტმა“. ცდის წარმატებით ჩატარებას ენერგიულად უწყობს ხელს საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომი და პირადად მისი პირველი მდივანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნუგზარ ნადარაია.

ოვალური კვლების მოსაწყობად არხები ითხრება ყოველ 25-30 მეტრის დაშორებით. ამოღებული მიწა ნაკვეთზე იყრება ოვალურად და კვლებმაც სახელწოდება აქედან მიიღო. ადრე ეწყობოდა სფერული კვლები, სადაც არხების დაცილება გაცილებით დიდი იყო. და ნიადაგი ზოგჯერ კვლავ ჭაობდებოდა ხოლმე. გარდა ამისა, ერთი ჰექტარი სფერული კვლის მოწყობაზე საშუალოდ იხარჯებოდა 1.200 მანეთი, იმავე ფართობზე ოვალური კვლების მოწყობაზე კი 669 მანეთი გაიხარჯა.

კოლხეთის დაბლობზე ნიადაგის გაუმჯობესების ეს პრინციპი არსებულ მეთოდებთან შედარებით უფრო ეფექტიანია და პრაქტიკულია. პირველ წელსვე იგი საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოაქციონ ასობით ჰექტარი დაჭაობებული მიწები.

კოლაუ ნადირაძე

# პატარა ქალო

სიამით გიმზერ,
გიმზერ სიამით,
მაგრამ არ ვიცი
რატომ ან რისთვის!
პატარა ქალო,
გრძნობათ ამრევო,
კოლხეთის ვარდო,
გაშლილო სხვისთვის!
მე ვამბობ სხვისთვის,
ო, არა ჩემთვის!
თანაც ვგრძნობ:
გული სევდით ამევსო!

განა არ ვიცი —
არ მაქვს უფლება
მშვენებას შენსას
რომ ვეალერსო!
შენს მეტყველ ხელებს,
შენს მეტყველ თითებს
ორთოლივით, ამბორით
რომ დავეკონო,
და სუნთქვა შენი —
ყვავილთა სუნთქვა —
წუთით, ან წამით
ჩემი მეგონოს!
არ მიფიქრია,

და არ ვიცოდი,
ოცნება შენზე
თუ დამათრობდა
და შთაგონებით,
ახალგაზრდულად,
როგორც ოდესღაც,
კვლავ დავიწვოდი!
მაგრამ ამ ლექსით
თუ კი შეგცოდე,
ერთი იმედი
მაინც მატკბობდა,
რომ ელვარება
სხივოსან თვალთა,

და ეგ ღიმილი
ბავშვურ-მაგიურ
დამეფრქვეოდა
და გამათბობდა.

გიმზერ სიამით,
სიამით გიმზერ,
მაგრამ არ ვიცი
რატომ ან რისთვის!
პატარა ქალო,
გრძნობათ ამრევო,
კოლხეთის ვარდო,
გაშლილო სხვისთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ერთი ფურცელი

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებაში „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება" მოგვითხრობს: „განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რათა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა — მცირედნი ნათესავნი და ერნი მყვიდრ არიან მუნ".

ათონის მთაზე მყოფი ქართველი ბერების კონკლაობით თავმობურებული იოანე „უკეთუსი ქართველების" სამიებლად აპირებდა გადასახლებას ესპანეთში, სადაც მონათესავე ხალხი ეგულებოდა.

როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფ-ისტორიკოსები იბერიის სახელით მოიხსენიებენ პირენეის ნახევარკუნძულს, რომელიც დასახლებული იყო იბერიელთა მრავალრიცხოვანი ტომებით. მაგრამ იმავე წყაროებში იბერია ეწოდება საქართველოსაც. ევროპის იბერია და აზიის იბერია — ასე განასხვავებდნენ ანტიკური ეპოქის ავტორები ამ ორ ქვეყანას და ერთი მოდგმის ხალხად მიაჩნდათ ევროპისა და აზიის იბერიელნი.

რომაელებმა როდესაც პირენეის ნახევარკუნძული დაიპყრეს და რომის პროვინციად გადააქციეს, მოხდა იბერიელთა აღრევა დამპყრობლებთან. მხოლოდ ბასკებმა შეინარჩუნეს თავისი ეროვნული მეობა და არ გაითქვიფნენ სხვა ხალხებში. ამიტომაც არის, რომ დღეს მეცნიერები გულმოდგინედ იკვლევენ ბასკთა ენასა და ეთნოგრაფიას იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ძველ წყაროებში შემონახული გადმოცემა, რომელიც ცოცხლობდა საუკუნეთა მანძილზე, როგორც ამოუხსნელი ამოცანა, მიზიდველი თავისი იდუმალებითა და ნახევრად ლეგენდარული შინაარსით.

...1672 წელს საქართველოს სტუმრად ეწვია ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი. იგი დაესწრო ქართლის მეფის სასახლეში გამართულ ნადიმს და მისი აღწერაც დაგვიტოვა თავისი წიგნის ფურცლებზე. გამომშვიდობებისას ქართლის მეფე ვახტანგ V თურმე შეეკითხა შარდენს, როგორ ბრძანდებათ ჩემი ნათესავი — ესპანეთის მეფე და შემდეგ ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო. ალბათ, ზეპირად ეცოდინებოდა შარდენს ევროპელ ხელმწიფეთა ნათესაობრივ-მოყვრული კავშირები და გაოგნებული დიდხანს ფიქრობდა, თუ სიდან ენათესავებოდა ქართლის მეფე ესპანეთის მეფეს. მაგრამ ხელმწიფეთა ნათესაობას როდი გულისხმობდა მისი ქართველი მასპინძელი, ხალხთა ნათესაობას გულისხმობდა. გვიანდა გახსენდა (ანდა შეახსენეს) შარდენს ანტიკური წყაროების ცნობა, თბილისში დამკვიდრებულმა კათოლიკე მისიონერებმა აუხსნეს ფრანგ ვაჭარს, რომის პაპმა თეიმურაზ მეფისადმი მიწერილ წერილში იგი ესპანეთის მეფის ნათესავად მოიხსენია, ხოლო იბერიელები (ე. ი. ქართველები) და ესპანელები — ძმებად.

ათოდე წლის შემდეგ იტალიელი მისიონერი დონ ჯოზეპე კარლო წერდა: ქართველი დიდებულები ამბობენ, წარმოშობით ესპანეთიდან ვართო და იქვე დასძენდა, საქართველოს, ისევე როგორც ესპანეთს, იბერია ჰქვიაო.

იმდროინდელ საქართველოში, ეტყობა, საფუძვლიანად ეუფლა გავრცელებული ქართველებისა და ესპანელთა ნათესაობის ამბავი, ნაკლებად რომ ახსოვდათ ევროპელებს, ვინაიდან შორეული ძმების ძიება მათი ოცნების საგანს არ წარმოადგენდა. სულ სხვა იყო ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ხვაშიადი. ისინი გამუდმებით ეძებდნენ მფარველსა და მოკავშირეს ქრისტიანულ ქვეყნებს შორის და ძველთაძველი გადმოცემა ესპანელებთან ნათესაობაზე ფრთებს ასხამდა მამამადიანურ გარემოცვაში მოქცეული პატარა ქვეყნის იმედებსა და ლტოლვას.

შარდენის ადგილას რომ ყოფილიყო დიდად განსწავლული იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, სრულიადაც არ გაუკვირდებოდა ქართველი მეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო. დელა ვალე აღნიშნავს, რომ სტრაბონის ცნობით, აზიის იბერია წარმოქმნილია ევროპის იბერიიდან, მაგრამ იმოწმებს საწინააღმდეგო მოსაზრებასაც — თითქოსდა აზიიდან წამოსული იბერიელები დასახლებულან პირენეის ნახევარკუნძულზე.

1621 წლით დათარიღებულ წერილში დელა ვალე მსჯელობს შაჰ-აბასის შესახებ და უკმაყოფილებას გამოთქვამს სეფიანი ხელმწიფის მისამართით. იტალიელ მოგზაურს არ მოსწონდა იგი ჭეშმარიტად მამაც პიროვნებად. გარდა ამისა, ეჭვის თვალით უყურებს კათოლიკე მისიონერთა მტკიცებას, ვითომდა შაჰ-აბასი ქრისტიანთა ფარულად მოყვარული არის და, რაც მთავარია, მის აღშფოთებას იწვევს შაჰ-აბასის ვერაგული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ქართველების სიყვარულს ხმამაღლა აცხადებს პიეტრო დელა ვალე, ეძებს ამ სიყვარულის მიზეზს, დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ გაუცია და ერთგვარი ჰოჰმანით ამბობს: „არ ვიცი, შესაძლოა იმიტომ, რომ იბერიული სისხლი მირევია".

პიეტროს გვარი, როგორც ირკვევა, კანტაბრიული წარმოშობისა ყოფილა. ხოლო კანტაბრია წარმოადგენდა ევროპული იბერიის ნაწილს. კანტაბრიელები ბინადრობდნენ ჩრდილოეთ ესპანეთში, დღევანდელი ბასკონის მეზობლად. სწორედ კანტაბრიის მთებში იღებს სათავეს მდინარე ებრო, რომელსაც წინათ იბერი ერქვა. კანტაბრიელები გამოირჩეოდნენ მკაცრი ბუნებითა და დიდი სიმამაცით. ისინი შეუპოვრად ებრძოდნენ რომაელ დამპყრობლებს. სტრაბონის მიხედვით, რომაელებთან ომის დროს კანტაბრიელი დედები თავისი ხელით კლავდნენ შვილებს, ოღონდ ისინი მონობისაგან გადაერჩინათ. აღსანიშნავია, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე რომაელებმა კანტაბრია ყველაზე გვიან დაიმორჩილეს.

ამ სახელოვან კანტაბრიელთა შთამომავლად პიეტრო დელა ვალე ითვლებოდა.

აი, ვის უნდა მოესმინა ქართველი მეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო — მგზნებარე იტალიელ პილიგრიმს, ქრისტიან მოძმეთა დაუღალავ მაძიებელს, ანტიკური წყაროების მცოდნესა და მორწმუნეს, რომანტიკოსსა და მეოცნებეს, საოცარი გულდაჯერებით რომ ჭვრეტდა სათუო მომავალს, როდესაც აღმოსავლეთის ჩაგრულ ქრისტიანთა საშველად ევროპიდან უნდა აზვირთებულიყო ახალ ჯვაროსანთა ტალღა... საპატიო სტუმარი და მესაიდუმლე შაჰ-აბასისა გულწრფელად ესარჩლებოდა აოხრებულ საქართველოს და ქართველებისადმი თავისი მხურვალე სიმპათიის ასახსნელად აღნიშნავდა: მეც იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობისა ვარო.

პიეტრო დელა ვალეს სახელი ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოსთან, თუმცა მას ფეხიც არ დაუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. ირანში გაიცნო ქართველები, მათი ბედი გულთან ახლოს მიიტანა და უანგარო სამსახური გაუწია იმ ქვეყანას, რომელმაც შორიდან შეაყვარა თავი.

დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე აღწერილია ქართველთა დაუცხრომელი ბრძოლა ყიზილბაშებთან. „ქართველებს თავი გამოუჩენიათ და კვლავაც იჩენენ თავს მამაც მეომრებად", — შენიშნავს იტალიელი მოგზაური. მისივე სიტყვით, ქართველი ქალები, შეიარაღებულნი და ცხენზე ამხედრებულნი, მედგრად იბრძოდნენ ხოლმე თავისი ქმრებისა და ძმების მხარდამხარ.

პიეტრო დელა ვალე განსაკუთრებული სიმპათიით გვიხატავს თეიმურაზ მეფის პორტრეტს. „...თეიმურაზ-ხანი, ვის მიმართაც, გარდა სარწმუნოების ინტერესებისა, რაღაც იდუმალი ძალით მოხიბლული განვიცდი არაჩვეულებრივ კეთილგანწყობას, თუმცა პირადად არც კი ვიცნობ" — ამბობს იტალიელი მოგზაური.

განუზომელი იყო თეიმურაზის თავზე დატრიალებული უბედურებანი და ასევე განუზომელი იყო მისი თავდადებული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. უცხოური წყაროები (ჰერბერტი, შარდენი) ამიტომაც მოიხსენიებენ მას, როგორც „მამაცსა და უბედურ მეფეს".

1618 წელს ოსმალეთმა ომი გააჩაღა ირანთან. ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობდა თეიმურაზ მეფე, სამი ათასი ქართველი მხედრის თანხლებით. ამ ფაქტის შესახებ ქართული წყაროები კრინტს არა სძრავენ, თუმცა იგი მნიშვნელოვნად ამდიდრებს თეიმურაზის მშფოთვარე ბიოგრაფიას.

დელა ვალეს სიტყვით, ესოდენ საშიში მდგომარეობა შაჰ-აბასს იშვიათად თუ ჰქონია. ოსმალებმა თავრიზი აიღეს და არდებილის ბედიც ბეწვზე ეკიდა. წარმატებით დაწყებულმა ლაშქრობამ ალბათ გაუათკეცა თეიმურაზს იმედი ტყვე დედისა და შვილების ხსნისა. მაგრამ ოსმალებმა გადამწყვეტი ბრძოლა წააგეს და იძულებული გახდნენ, ზავი დაედოთ.

პიეტრომ იცოდა, თეიმურაზი რომ არ მოისვენებდა და არც ხეფიანთა ირანში დაწინაურებული ქართველები დაივიწყებდნენ თავისი სამშობლოს აოხრებას.

ირანში გაცნობილ ქართველებთან საუბარი ოპტიმიზმს ულვივებდა იტალიელ მოგზაურს. ესმოდა ამბავი მათი გმირული წარსულისა და იზიარებდა ნათელი მომავლის რწმენას. დელა ვალე წერს: „რაც შეეხება საქართველოს, მე მახსენდება, რომ წინათაც იყო მსგავსი შემოსევები ბარბაროსთა, მაგალითად, თემურ-ლენგისა, ჩვენ რომ ტამერლანს ვუწოდებთ, და საქართველომ გადაიტანა არანაკლები ტანჯვა და შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე დღეს, მაგრამ გადაუვლია მძვინვარე ქარიშხალს, ნაომარი ქვეყანა ისევ აღმდგარა და არ დაუკარგავს ქრისტიანული სარწმუნოება".

იტალიელ მოგზაურს ნამდვილ სასწაულად ეჩვენებოდა გმირული ბრძოლა და სიმტკიცე ქართველებისა, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ უძლიერესი და უხარბესი აგრესორებით. იგი გაკვირვებას გამოთქვამდა იმაზე, რომ კათოლიკური ეკლესია უამრავ თანხას ხარჯავდა სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისათვის და ცდილობდა ურჯულო ხელმწიფეთა ხელისუფლების ქვეშ ხანგრძლივად დაქვემდებარებულ ხალხთა შემომტკიცებას, მაგრამ მხედველობიდან გამორჩენოდა ქართველები, მებრძოლი ხალხი, რომელსაც ჰყავდა ქრისტიანი მეფე-მთავრები უძველესი გვარისა, ჰყავდა ჯარი და განუწყვეტლივ ებრძოდა მტერს.

1626 წელს დაბრუნდა რომში პიეტრო და მისი მცდელობით მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოში თეათინელთა მისიის დაფუძნებაზე. საქართველოში დამკვიდრებულ თეათინელ მისიონერთა მოღვაწეობის დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანდა. საკმარისია ვახსენოთ ქართველი მკითხველისათვის ძალზე ნაცნობი სახელები: არქანჯელო ლამბერტი (ავტორი წიგნისა „სამეგრელოს აღწერა") და ქრისტეფორე კასტელი, ავტორი უძვირფასესი ალბომისა, რომელიც შეიცავს მრავალი ცნობილი თუ უცნობი ქართველის ჩინებულად შესრულებულ პორტრეტებს.

თამაზ ნატროშვილი

# მოყვასი შორეული რომიდან

# კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენიდან


ქართული ბიბლიოთეკა

თ. მანჯგალაძე — განახლებული სიმღერა.



ჯ. გოგაბერიშვილი — შესვენებაზე.



ვ. კოზირევი — ხიდის მშენებლები.



ი. ვეფხვაძე — ექსპერიმენტი (ფრაგმენტი).



ა. მოსიაშვილი — მესამე სემესტრი.



ა. კაკაბაძე — სოფელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენიდან

მ. ახობაძე — შემოდგომა ქართლში.



ვ. კანდელაკი — შესვენება (ფრაგმენტი).



ვ. მარგიანი — ღამე მთაში.







ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოხუცები

ზურაბ დათუაშვილის და ანზორ გოგოლაძის ფოტო.







# მარიკა ბარათაშვილი

70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს მარიკა ბარათაშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი მარიკა ბარათაშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად სულითა და გულით ულოცავს მარიკა ბარათაშვილს დაბადების 70 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს გზაზე.

## ჩემი მამულეთი

ჩემი დამლოცავი,
სულის შემმოსავი,
რომ ფშვინავს ფოთოლიც გრძნობით უშფოთველი...
ჩემი მამულეთი,
ჩემი ყვავილეთი,
ზემო იმერეთის პატარა სოფელი.
ყორე და ქვითკირი,
ჭალა და მუხები,
ასე საყვარელი, ასე მახლობელი.
თუ დავიღლებოდი,
თუ ჩავიმუხლებდი,
ხელს წამაშველებდა ვიცოდი სოფელი.
იყო უშუქობა,
იყო უგზოობა,
ნატვრა: გველირსოსო ერთი ელნათურა!
ახლა ეზოებში
წყალი ონკანებით,
ახლა ცხოვრებაა სოფლად ქალაქური.
ზღაპრადაც არ ახსოვთ
ამბავი ასეთი —
(ყველაფერს ზღაპრების ბურუსი ეფინა!..).
სტუმრად შემოსულა
სოფელ ნავარძეთში,
ცისფერ ეკრანებით, თავად არგენტინა.
მაგრამ დაკეტილი
მატულობს ჭიშკრები...
და მტკივა სიჩუმე ოდების ფიცრულის.
მტერმა თუ დალაშქრა
უჩინრად იქნება...
სიკვდილს გაქცევიან, სადღაც გახიზნულან?!
დავივლი ეზოებს
ფიქრებმორეული...
(ნურვინ გამამტყუნებს და ნუ დამძრახავენ!),
ალფეზისეული,
ანგიასეული...
ღმერთო, წააშველე ხელი ნასახლარებს!

●

ყველა ჩვენგანი
მხვნელ-მთესველი
არის ბუნებით.
რას ხნავ, რას თესავ
ამაშია შენი რაობა!
ყველგან არ გვხვდება
გადაშლილი
ხოდაბუნები,
ზოგან ყამირიც გაერევა,
ზოგან ჭაობიც...
შენ ხარ მდიდარი აურაცხელ
სიკეთის მარცვლით
და ხელთ გიპყრია დიდებული
სახნის-ნამგალი.
არ გაერიოს ნათესებში
მარცვალიც ღვარძლის!
ხარ ღირსეული? —
ღირსეული დადგი სამკალი!

## მ ა დ ლ ო ბ ა, დ ი დ ი მ ა დ ლ ო ბ ა!

ოქტომბრის მზიანი, მყუდრო დღე იყო. ჩემ ოთხი წლის გოგონას კიროვის ბაღში დავასეირნებდი, უცებ საოცრად თბილი, ნაზი მელოდია შემომესმა. სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ და მღეროდნენ: „ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლია...“ მერე სიმღერა უფრო ხმამაღლა გაისმა „ვენაცვალე, სხვა საუნჯეს მე არ ვეძებ, რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა“... ეს გრძნობით ამონათქვამი სტრიქონები საოცრად ჩამწვდა გულში, ბავშვს ხელი ჩავკიდე და შინისაკენ გავწიე. ყურში კი ისევ ის მელოდია და სიტყვები მესმოდა. „ნეტავი ვინაა ამ ლექსის ავტორი?“ — ვფიქრობდი.

მალე ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა; ერთხელ, ახლად მიღებული წიგნების კატალოგს რომ ვადგენდი, ხელთ მომხვდა მარიკა ბარათაშვილის ლექსთა კრებული. რამდენიმე მისი ლექსი ჩემთვის ცნობილი იყო. განსაკუთრებით მომწონდა დიდი სამამულო ომის გმირის შოთა გამცემლიძისადმი მიძღვნილი ლექსი: „შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე მხოლოდ, დანარჩენები სამშობლოსთვის შეგიწირია“.

გადავფურცლე წიგნი და... ჰოი, სიხარულო!— სწორედ ის ლექსი, სიმღერად ქცეული, ასე რომ დამატყვევა ბაღში.

მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მარიკა ბარათაშვილი ჩემი საყვარელი პოეტი და სულიერი მეგობარია. ცხოვრებისეულ ძნელ წუთებში არაერთხელ მიმიმართავს მისი დიდად ადამიანური, გულში ჩამწვდომი პოეზიისათვის და მიპოვია შვება, გავმხნევებულვარ. ბევრჯერ დაუფიქრებივარ და სასიკეთო საქმისათვის განვუწყივარ ასეთ ხალასს სტრიქონებს: „ჩამოეცალე! არა ხედავ ამ ჭიანჭველას, ისიც ტვირთს ზიდავს და საკუთარ სავალ გზას ითხოვს. სივრცეს გახედე — თავის ბილიკს დაეძებს ყველა, სირცხვილიც არის უბილიკოდ მიწა გაცვითო“.

როცა მარიკა ბარათაშვილის დაბადების 70 წლისთავს აღნიშნავს მადლიერი ხალხი, მეც მინდა უსაზღვრო მადლობა მოვახსენო ჩვენს ღვაწლმოსილ პოეტ ქალს, რომლის პოეტური ქმნილებანი მუდამ მხარში მედგა, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**მარიამ შამფრიანი,**

თბილისის 41-ე მასობრივი ბიბლიოთეკის გამგე.

# ლექსები



## ვახტანგ გორგანელი

### ნიკორწმინდის ცაცხვი

უხილავ ფრთებით სიმაღლეს ელტვის,
სვეტივით დგას და შვიდფერად ბრწყინავს.
ამ ცაცხვს სწვევია მუზების ღმერთი,
ახლა მთაწმინდის მკერდზე რომ სძინავს.
ტოტებზე ცისკარს გაუბამს ლარი,
თვალს არ აშორებს ლაჟვარდი სუფთა.
ჩამოუქროლებს შაორის ქარი
და მესმის დიდი აკაკის სუნთქვა.
ვთხოვ ნიკორწმინდის ჩუქურთმის მუზებს,
დაუდონ ზღვარი დიდიხნის ლოდინს.
ანგელოზებმა დამამყნონ გულზე
ამ ცაცხვის ერთი პატარა ტოტი.

### ლხინი რაჭველებთან

ფეხაკრეფით აივანი გავიარე,
სადაც შევედ ყვავილების გამყვა ქარი.
ფანჯარასთან ნაკარცხულზე იჯდა მთვარე
და ცრემლებად იღვრებოდა საზანდარი.
ხმა იყო თუ ბარაკონთან სტიროდნენ ახლოს,
მასპინძელი კვლავ სასწაულს აპირებდა.
სად ვიჯექი აღარ ვიცი, სუფრის ახლოს,
თუ ქვედრულას ადიდებულ ნაპირებთან.
რას მოსთქვამდა სიმღერაში ბერი პაპა?
როგორ გითხრა, რით დამთავრდა ლხინი ბოლოს?!
იმ სიხარულს, იმ სიყვარულს და იმ ზღაპარს
შფოთიანი რიონი თუ იტყვის მხოლოდ.

### საფლავები რიონთან

მხოლოდ დაცვა მშობელ მიწის,
ვიცი, გულო, მისთვის ძგერდი.
სხვა დიდება არა გწამდათ,
არც გინდოდათ თქვენ სხვა ძეგლი.
წახვედით და საქართველოს
გაფარიათ ცხელი მკერდი
და რიონი მოელვარე
დაშნასავით გიდევთ გვერდით.

# ეიფელის კოშკი

გასული საუკუნის ბოლოს საფრანგეთი ემზადებოდა აღენიშნა 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის ასი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს მოეწყოთ მსოფლიო გამოფენა და შეექმნათ რაიმე უნიკალური ნაგებობა, რომლის მსგავსი მსოფლიოს არ ენახა. ბოლოს არჩევანი შეაჩერეს დიდებული ფრანგი ინჟინრის ალექსანდრე გუსტავ ეიფელის (1832 — 1923) პროექტზე. ეს პროექტი ამოარჩიეს კონკურსზე წარმოდგენილი 700-ზე მეტი პროექტიდან. ეიფელს უნდოდა დაერწმუნებინა თანამედროვენი, რომ რკინა საუკეთესო საამშენებლო მასალაა და მისი გამოყენების შესაძლებლობა მეტად დიდია.

კოშკი თავისი შექმნის პირველ ხანებში მართლაც წარმოადგენდა არნახულ ტექნიკურ მიღწევას; მან გამოიწვია მთელი მსოფლიოს გაოცება და აღფრთოვანება. ეიფელის კოშკი გახდა 1889 წლის მსოფლიო გამოფენის სიამაყე. გამოფენის ყველა მნახველმა იცოდა, რომ კოშკი მსოფლიოს ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო. ახალმა კოშკმა მეტი ინტერესი გამოიწვია, ვიდრე ედისონის ფონოგრაფმა, საშახტო ელმავალმა, დიმლერის ფირმის თვითმავალმა ოთხთვალამ, ავტომობილმა და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებებმა, რომლებიც წარმოდგენილი იყო გამოფენაზე.

კოშკს უწოდეს მისი ავტორის — ეიფელის სახელი. ინჟინერი ეიფელი იყო კონსტრუქტორი და არქიტექტორი უამრავი შენობის, ხიდების, კაშხლების, ქარხნების, რკინიგზის სადგურების; ეიფელი მონაწილეობდა პარიზის მეტროს და პანამის არხის მშენებლობაში. მან დააპროექტა საყრდენი კარკასი ამერიკის თავისუფლების ქანდაკებისათვის...

საფრანგეთის მთავრობამ და პარიზის მუნიციპალიტეტმა 1887 წლის იანვარში ხელი მოაწერეს ეიფელთან ხელშეკრულებას და იმავე თვეში დაიწყო კოშკის საძირკვლის ჩაყრა მარსის ველზე, სენის ნაპირის ახლოს. კოშკის მშენებლობა 2 წელი, 2 თვე და 5 დღე გრძელდებოდა. მას აშენებდა ორასი მუშა და ინჟინერი. 1889 წლის 31 მარტს აყურული კოშკი ოფიციალურად გაიხსნა; მალე მისი დამთვალიერებლები გამოჩნდნენ. კოშკი შეღებილი იყო მუქი წითელი ფერით, რომელიც ზემოთკენ შეუმჩნევლად ნარინჯის ფერში გადადიოდა. კოშკი მტკიცედ იდგა ოთხ ფართოდ განლაგებულ, დაქანებულ საყრდენზე.

გავიდა წლები და კოშკი მართლაც შეიყვარეს. იგი გახდა მგოსნებისა და მხატვრების შთაგონების წყარო; კოშკი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ტურისტებს შორის.

კოშკს წელიწადში ათვალიერებს სამი მილიონი ტურისტი. მასზე ერთდროულად შეიძლება იყოს ათი ათასი ადამიანი. ვიზიტის მთავარი მიზანია კოშკის მწვერვალზე ასვლა, რომ დატკბნენ ქალაქის პანორამის ხილვით; ეიფელის კოშკის შემოსავლის 90%-ს იძლევა ტურისტების ბილეთები, 10%-ს ტელევიზია, სხვადასხვა რესტორანი და ბარი. აქ არის პარიზის ერთ-



ერთი ყველაზე რჩეული რესტორანი, საღამოს კი დარბაზში ეწყობა საესტრადო წარმოდგენა.

ამ არაჩვეულებრივ ნაგებობას აქვს 3 ბაქანი; პირველი მდებარეობს 60 მეტრის სიმაღლეზე; მისი ფართობი 4200 კვადრატული მეტრია. კაფეს გარდა აქ არის დიდი რესტორანი და დარბაზები შესაკრებად. მეორე ბაქანი მდებარეობს 115 მეტრის სიმაღლეზე. ეს ბაქანი ყველაზე შემოსავლიანია. აქ არის ბარი და იყიდება სუვენირები. მარტო სუვენირების გაყიდვა კომპანიას აძლევს 3 მილიონი ფრანკის მოგებას. ყველაზე მაღალ ადგილას მესამე ბაქანია (276

# ადამიანი და ბუნება

## საოცარი ხე

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ჩვენი რესპუბლიკის მთებშიც კი არცთუ ისე იშვიათად გვხვდება საოცარი მცენარე — კორპის ანუ საცობის მუხა. კორპის ხე პატარა სიმაღლისაა, აქვს მოგრძო, დაკბილული ფოთლები კრიალა ზედაპირით; ფოთლის მეორე მხარე რუხი ფერის ღინღლით არის დაფარული. კორპის ხე შემოდგომაზე უხვად იხუნძლება რკოსმაგვარი ოქროსფერი ნაყოფით.

ამ საოცარ ხეს ტანსა და რტოებზე ყოველწლიურად ეზრდება საცობის მკვრივი ფენა. ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ კორპის მუხასა და ამურის ხავერდოვან ხეს აქვთ ასეთი თვისება.

კორპის მუხის სამშობლოა ხმელთაშუა ზღვის აუზი. იგი გვხვდება ჩრდილოეთ აფრიკის — განსაკუთრებით კი ალჟირისა და მაროკოს ტყეებში. ჩვენს ქვეყანაში კორპის ხე პირველად 150 წლის წინათ ყირიმში გაჩნდა. ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში დღესაც ხარობს კორპის ხეების კორომი, რომელიც პორტუგალიიდან მიღებული თესლით გააშენეს.

უცხო ქვეყნიდან მოსულმა სტუმარმა მოგზაურობა განაგრძო კავკასიის ზღვისპირეთში. ყოველწლიურად ფართოვდება კორპის მუხის პლანტაციები, იზრდება საცობის „მოსავალი". კორპის მუხის ერთ-ერთი დიდი მასივია გაშენებული ხოსტის მახლობლად, სადაც ამ ძვირფასი მცენარის კორომები 180 ჰექტარზეა გადაჭიმული.

კორპის მუხისაგან მიღებული საცობი ბუნების საკვირველი ქმნილებაა: იგი მსუბუქი, ელასტიური და მტკიცეა, არ ატარებს სითხეს, ჰაერსა და გაზებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საცობს სითბოს, ელექტრობისა და ბგერის სუსტი გამტარობა აქვს და ამიტომაც არის, რომ მას ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში — ხმარობენ საიზოლაციო ფილების, საშველი ღვედების და წრეების, ანკესების ტივტივების, ლინოლეუმის, პროტეზის დამზადებისას. მას დიდი გამოყენება აქვს აგრეთვე ფეხსაცმლის მრეწველობაში, როგორც მოხდენილ და მსუბუქ საძირე მასალას. განსაკუთრებით აუცილებელია იგი ღვინო-კონიაკის მრეწველობისათვის. ბოთლებში ღვინო, კონიაკი და შამპანური დიდხანს არ შეინახება, თუ იგი კორპის მუხის საცობით არ არის დახურული. ამ მხრივ მას ვერავითარი სხვა მასალა ვერ ცვლის.

მეტრი). მესამე ბაქანი ძირითადად ეთმობა ფოტოატელიეს. აქვეა ასტრონომიული, ფიზიკურ-მეტეოროლოგიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები. ამ ბაქნის თავზე იყო მოთავსებული ეიფელის ბინა. მას თავის სამ ოთახში ატანილი ჰქონდა პიანინო, გაზის ქურა და ედისონის ახლად გამოგონილი ელექტრონათურები.

სულ ზემოთ არის კვადრატული მოედანი, აქვეა ალმართული მეხამრიდი, რომელზედაც ჩამოცმულია საფრანგეთის ეროვნული დროშა. ეს მოედანი დედამიწიდან 300 მეტრით არის დაშორებული.

კოშკის ამპლიტუდა 22 სანტიმეტრია. კოშკის კონსტრუქცია ისეა ნაანგარიშები, რომ შეუძლია გაუძლოს ძლიერი ქარის დაძაბულობას.

კოშკის შიგნით დადის ოთხი ლიფტი, რომლებიც ადიან მეორე ბაქნამდე. უფრო ზემოთ დადის ორი ლიფტი; პირველად ლიფტები ჰიდრავლიკური იყო; ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ისინი ელექტროფიცირებულია. არის კიბეებიც, რომელთა საფეხურების რაოდენობა 1782 შეადგენს.

კოშკის საძირკვლის აშენებამ მოითხოვა ჩასულიყვნენ სენის დონიდან 5 მეტრით ქვევით. ამოთხრილ ქვაბულში ჩაწყობილი იქნა ათმეტრიანი სისქის ბეტონის ფილები. კოშკს აქვს 4 ფუძე. კოშკის წონა 9000 ტონაა; აქედან 7300 ტონა რკინის კონსტრუქციებია. მის ერთ-ერთ საყრდენთან დგას ბიუსტი, რომელსაც აწერია: „ეიფელი. 1832 — 1923".

კოშკს გულმოდგინედ იცავენ. მის ძირში მორიგეობს 12 პოლიციელი, რომლებიც ამავე დროს ასრულებენ მეგზური — მთარგმნელის მოვალეობას. 10-დან 22 საათამდე ისინი იძლევიან საჭირო ცნობებს.

ეიფელის კოშკი დღესაც ყველაზე მაღალი ნაგებობაა პარიზში. დიდხანს ის ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო მსოფლიოში, მხოლოდ 1931 წ. მან პირველობა დაუთმო განთქმულ ნიუ-იორკის „ემპაიერ სტეიტს ბილდინგს". კოშკის სიმაღლე ზუსტად 300 მეტრია. დღესაც კოშკი წარმოადგენს სატელევიზიო, რადიომაუწყებლობის, მეტეოროლოგიური და რადარული დანადგარების სამსახურის საყრდენს.

კოშკი ხშირად გამოუყენებიათ სპორტსმენებს. ალპინისტებს მასზე მოუწყვიათ ასვლები, მის მწვერვალიდან ხშირად გადმომხტარან პარაშუტისტები, მამაცი ველოსიპედისტები ცდილან დაშვებულიყვნენ კიბეებზე. როგორც მოსკოვი წარმოუდგენელია უკრემლოდ, თბილისი — უმთაწმინდოდ, ლენინგრადი — საადმირალიტეტოს შპილის გარეშე, ასევე პარიზი წარმოუდგენელია ეიფელის კოშკის გარეშე.

ამას წინათ პარიზის ერთი გაზეთი წერდა: „ის 88 წლისაა, მაგრამ გამოიყურება ახალგაზრდულად და დგას სწორად. გულწრფელად რომ ვთქვათ, ის მაინცდამაინც არ არის მიმზიდველი. ზოგნი ამტკიცებენ კიდეც, რომ ულამაზოა, მაგრამ მაინც უმისოდ ცხოვრება იქნებოდა ცოტა სხვანაირი".

ეიფელის კოშკი პარიზის ყველაზე უფრო პოპულარული სიმბოლოა და ამასთან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაგებობა მსოფლიოში.

დავით ლოლობერიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზერბაიჯანელი პოეტები

ისა ისმაილზადე

### ის სიყვარული

ვუძღვნი საქართველოს მიწას,
რომელზედაც აღვიზარდე.

როგორც კი თავი ავწიე მაღლა,
თვალი შევასწარ მოწმენდილ ზეცას,
მშობლიურ ზეცას;
მერე დამხედა მზემ მოკაშკაშემ,
მერე შევხედე მშობლიურ მზესაც.
მე გადავკვეთე ზეცის თავანი,
მზე შევისრუტე,
როგორც წამალი.

მერე ნელ-ნელა დავხედე მიწას,
თვალი მიიპყრო დაღმართმა ერთმა,
მშობლიურმა და
უსაყვარლესმა,
მერე დაღმართი აღმართად იქცა,
გამათბო მისმა სითბომ, ალერსმა,
მშობლიურმა და
უსაყვარლესმა.

ფრინველთ ჟღურტული,
თითქოს ქართულად
გვესმოდა, როგორც
ტკბილი ლოცვანი,
და შორიახლო წამომართული
კლდე იდგა ყუჩად, გასაოცარი.
წლებმა რა სწრაფად გადიგრიალა,
ის სიყვარული დამრჩა იარად.

მე გავიხუხე
იმ ცხელი მზის ქვეშ,
ფესვი დამილბო
ქართულმა წვიმამ,
რა მახლობლად და
რა ღვიძლად იქეც,
მე თავს ვხრი
შენი სიძველის წინა.
წლებმა რა სწრაფად გადიგრიალა,
ის სიყვარული დამრჩა იარად.

მე ვერ მოვწყვიტე
მზის ბრწყინავს თვალი,
ვერ დაიოკეს სწრაფვა თვალებმა,
ცეცხლს დავესეხე
მეზობელს კარის
დიდი კოცონის საბრიალებლად.

ველო კახეთის,
ყარაიაზის,
ბორჩალოვ,
გულის ძალუმო ფეთქვავ,
ვერ გაგიფინე,
ვით ფიანდაზი,
ლექსი
ვერ გიძღვენ,
მსურდა კი მეთქვა.

როგორც კი თავი ავწიე მაღლა,
თვალი შევასწარ მოწმენდილ ზეცას,
მშობლიურ ზეცას;
მერე დამხედა მზემ მოკაშკაშემ,
მერე შევხედე მშობლიურ მზესაც.
მე გადავკვეთე ზეცის თავანი,
მზე შევისრუტე,
როგორც წამალი.

ნარიმან ჰასანზადე

### ისე ლამაზად მღერის ქართველი

გგონია, აქ მთებს შარბათი აწვიმს,
ერთი წუთითაც არ დაეჭვდები.
მორგებული აქვს ქართველ კაცს ყანწი,
ვით საპატარძლოს თითზე ბეჭედი.

აქ სადღეგრძელოც ისე ლაღია,
ისე თამამი და უშურველი,
რომ გული გრძნობის ბაირაღია,
მოსიყვარულე, კაცზე მზრუნველი.

ერთი გასმინათ მათი სიმღერა,
მღერიან მშვიდნი, სახენათელნი,
გგონია, ზეცა ჰანგად იღვრება,
ისე ლამაზად მღერის ქართველი.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა

ლეილა ერაძე



# უჯრედოვან ფერთა გამა...

აღიარება იოლად როდი მოდის. შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბება და სრულყოფა, გემოვნება და ბოლოს დამოკიდებულება საქმისადმი, შრომისა და ძიების ნაყოფია.

გია ნადარეიშვილს ჭადრაკის თამაში შვიდი წლისას დაუწყია. ეტიუდებსაც სწორედ მაშინ გაზეთების „მუშის", „ახალგაზრდა კომუნისტის" და „ნორჩი ლენინელის" ფურცლებიდან გასცნობია.

მოგვიანებით, ცხაკაიას საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს, ჭადრაკის საიდუმლოებას ნაზიარებ ყმაწვილს, 1934 წელს განუზრახავს საraionთაშორისო ტურნირში ეცადა ბედი. თბილისიდან საგანგებოდ მოწვეულ მსაჯს ცხაკაიას რაიონის მკვიდრი, იმდროისათვის ცნობილი მოჭადრაკე და ნიჭიერი მათემატიკოსი (დაიღუპა დიდ სამამულო ომში) სერგო კანკავაც ჩამოჰყოლია. სწორედ მას უჩვენებია გიასთვის თანამედროვე საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის ა. ტროიცკის ერთ-ერთი ეტიუდი. მიუხედავად ნაწარმოების ძველმოდურობისა (1895 წელს იყო შედგენილი), მას განუმეორებელი შთაბეჭდილება მოუხდენია ჭაბუკზე და როგორც თვით კომპოზიტორი ამბობს, სწორედ ამ ეტიუდმა განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზა.

დაიწყო შემოქმედებითი ძიებით აღსავსე დღეები...

დაუღალავ ძიებასა და შრომას თავისი გააქვს და 1938 წელს „ახალგაზრდა კომუნისტსა" და სხვა გაზეთებში გაჩნდა მისი პირველი ნამუშევრები. ახლა უკვე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, მჭიდრო კონტაქტი აქვს იმ დროისათვის გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეებთან ვ. გოგლიძესთან, ა. ებრალიძესთან, კ. ღამბარაშვილთან, ა. ფირცხალავასთან, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მისი გემოვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

მართალია, ეს დიდი გზის მხოლოდ დასაწყისი იყო, მაგრამ კომპოზიტორის ამ ნამუშევრებშივე იგრძნობა მახვილგონიერება, აზროვნების მოულოდნელობა, ლოგიკურობა, შემოქმედებითი ინდივიდუალობა, და, რაც მთავარია, ფასდაუდებელი ღირსება — სწრაფვა პრაქტიკულ ჭადრაკთან დაახლოებისა; ამიტომაც არის, რომ მის ნამუშევარზე ვერ იტყვი, გამოგონილიაო.

კომპოზიტორის შემოქმედების სწორედ ეს მხარე აქვს მხედველობაში მიხეილ ბოტვინიკს, როცა წერს: „მინდა მოწიწებით მოვიხადო ქუდი გია ნადარეიშვილის წინაშე. მისი საუკეთესო ეტიუდები საიმედოდ შევა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში. აქ ჩვენ ვხედავთ მახვილგონივრულ შემხვდურ თამაშსაც და ამოხსნის წარმოუდგენელ სირთულესაც, ორიგინალობასაც და კომპოზიციის ბუნებრიობასაც. აქ საეტიუდო იდეა კი არ წარმართავს კომპოზიტორს, არამედ მხატვარი ფლობს სავსებით ნაწარმოების იდეას".

ერთ წელიწადს გია ნადარეიშვილი ბოტვინიკთან ერთად ბიჭვინთაში ისვენებდა. გიას მისთვის ახალი ეტიუდი უჩვენებია, დიდოსტატი ყურადღებით დასცქეროდა თურმე დაფას, შემდეგ კი ფეხზე წამომდგარა, ხელი ჩამოურთმევია და უთქვამს: — რამდენი სიმართლე და ბუნებრიობაა, დიდებულია, დიდებული!

და, მართლაც, გამოქვეყნების შემდეგ ამ ეტიუდმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

— ხომ ვერ გვეტყვით, როგორ იბადება ეტიუდი; იცით, წინასწარ რისი გაკეთებაც გსურთ, თუ არა? — ვეკითხებით გიას.

— რასაკვირველია, არა. საჭადრაკო კომპოზიციის თემას თუ იდეას წინასწარ ვერ დაგეგმავ. ლექსის მსგავსად ისინი ბედნიერი შთაგონების წუთებში იქმნებიან... არც თუ იშვიათად, წარმოსახვაში განალაგებ ფიგურებს — მეფეს, ეტლს, მხედარს, პაიკებს... არა, ფიგურათა ასეთი შერჩევით არაფერი გამოვა, უნდა რაღაც შეიცვალოს. ასე გრძელდება დიდხანს, ვიდრე ქვეშეუცნობლად არ იგრძნობ, რომ ჩნდება გარკვეული სიუჟეტი, იბადება იდეა. მერე კი ყველაფერი ძიებისა და ტექნიკის საქმეა. ერთხელ კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს ვკითხე, თუ როგორ ქმნიდა სიმღერას. მან მიპასუხა: მუსიკოსს მელოდია მუდამ თან სდევს, მისი დროულად დაჭერაა საჭიროო. ასევე შემიძლია გიპასუხოთ მეც.

— რამდენი დრო ჭირდება კომპოზიციის დამთავრებას?

— ზოგი ეტიუდი ერთი ამოსუნთქვით შემიქმნია; არის ისეთიც, რომლის გაფორმებას 15 წელი მოვანდომე. როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგში, ისე ეტიუდშიც მთავარია სიახლე, უკვე გაკეთებული და ნაცნობი იდეის გადამღერებას აბა რა ფასი აქვს. ამასთან ეტიუდი ზედმიწევნით ზუსტი და თანმიმდევრული უნდა იყოს, რადგან ერთი ყალბი სვლაც კი ნაშრომის წყალში გადაყრაა. ხშირად მეკითხებიან, რამდენ საათს ვუთმობ ჭადრაკს. მქონია შემთხვევა 16 საათი ვმჯდარვარ დაფასთან თავაუღებლად.

გ. ნადარეიშვილი
II პრიზი
„64", 1970



თეთრები იწყებენ
და იგებენ.

ალბათ, კომპოზიტორთან მსგავსი გასაუბრების შემდეგ გაუჩნდა საერთაშორისო დიდოსტატს იური ავერბახს სურვილი შეეხსენებინა მკითხველისათვის: „როცა გია ნადარეიშვილის შემოქმედების სხვადასხვა მხარეზე ვსაუბრობთ, უმართებულო იქნებოდა არაფერი გვეთქვა მის მთავარ საქმიანობაზე, იგი თვალსაჩინო ექიმი-ნევროპათოლოგია, განყოფილების გამგე, ქალაქის მთავარი ნევროპათოლოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

გია ნადარეიშვილი ბედნიერია არამარტო იმით, რომ მის შემოქმედებაში გონიერება, სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე, იგი ბედნიერია იმითაც, რომ მისი ნააზრევი სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს, ყველას, ვისაც კი ეს ბრძნული თამაში უყვარს".

„თავისუფალი დრო ძალზე ცოტა მქონდა. ძილის წინ სიამოვნებით ვწყვეტდი ეტიუდებს გ. ნადარეიშვილის წიგნიდან, რომელიც ამ უნიჭიერესმა ქართველმა კომპოზიტორმა მაჩუქა. წარმოუდგენელი, უბრალოდ ფანტასტიკური მეჩვენება ზოგიერთი მისი ეტიუდი", — წერს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ,მსოფლიოს ექსჩემპიონი მაქს ეივე.

მსოფლიო ექსჩემპიონი ბორის სპასკი კი წერს: „თითქმის ყოველდღე, როცა გონებრივი დასვენება მინდა, ხელში ვიღებ ამ მშვენიერ წიგნს და ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. აქამდე ყველასათვის უცნობ ურთიერთობებში, ჭადრაკის კლასიკურ ჭეშმარიტებებსა და ფიგურებს შორის ნადარეიშვილი საოცარ კავშირს ამყარებს. მისი ახალი წიგნი თავისი შინაარსით წააგავს დისნეის ჯადოსნურ სამყაროს".

„ჭეშმარიტად ამოუწურავია დიდი საჭადრაკო კომპოზიტორის — გია ნადარეიშვილის იდეათა საგანძური", — ასეთია მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ტალის აზრი.

გია ნადარეიშვილი გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, საჭადრაკო კომპოზიციის დიდი პოპულარიზატორიც არის. არაერთი რესპუბლიკური კონკურსის მოთავეს, საერთაშორისო არბიტს 40-ზე მეტ საკავშირო და საერთაშორისო კონკურსში აქვს მიღებული მონაწილეობა. საქართველოს საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებელი, ბოლო კონგრესზე საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კომპოზიტორთა მუდმივი კომისიის ერთადერთ ექსპერტად აირჩიეს ეტიუდების განხრით.

გია ნადარეიშვილი ექვსი წიგნის ავტორია, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ სპეციალისტთა თუ მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

„ქართულ ჭადრაკს მყინვარწვერის მსგავსად ორი მწვერვალი აქვს, — სახელგანთქმული მოჭადრაკე ქალები და საეტიუდო კომპოზიცია. პირველის ნათელი გამოხატულება იყო ქართველი ქალების პაექრობა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინისათვის, ხოლო მეორე მწვერვალს ასახავს საერთაშორისო ოსტატის გია ნადარეიშვილის წიგნი „საჭადრაკო ეტიუდები საქართველოში" ,— ასე შეაფასა კომპოზიტორის შემოქმედების ეს სფერო ლატვიელმა პრობლემისტმა და ჟურნალისტმა ა. დომბროვსკიხმა.

გია ნადარეიშვილი 250-ზე მეტი ნაწარმოების ავტორია, რომელთაგან 60-ზე მეტს პრიზი აქვს მიკუთვნებული. 1977 წელი კი გია ნადარეიშვილის შემოქმედების სრული აღიარების წელია. მან გაიმარჯვა მეტად რთულ პაექრობაში და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მაგრამ ეს მისი დასკვნითი აკორდი, წარმატებათა მწვერვალი როდია. ძიება გრძელდება, გვჯერა, რომ ქართველი საეტიუდო კომპოზიტორი კვლავაც არაერთხელ დაგვატკბობს განუმეორებელ უჯრედოვან ფერთა გამით.

ოთარ გაგუა

გურამ პეტრიაშვილი

# მხატვარი და თეთრი ჩიტები

ერთ დროს თეთრი იყო ყველა ფრინველი — და მაშინ მათ ფრენა უყვარდათ ძალიან.

ფრინველებს ახლაც უყვართ ფრენა, მაგრამ ის სიყვარული სხვა იყო.

ყველა თავისებურად ფრენდა: ზოგი ნარნარად ცურავდა ჰაერში ფრთაგაშლილი, ზოგი ზეცისკენ აიჭრებოდა უცებ, ზოგი ფრთებს აფართქალებდა და ზოგი კამარას ჰკრავდა ყოველ წამს...

ადამიანები, იპოვიდნენ თუ არა დროს, მაშინვე ცას შეაჩერდებოდნენ ხოლმე. ყველას თავისი ჩიტი ჰყავდა ამორჩეული და ისე უყვარდათ, დაფიცება რომ უნდოდა ვინმესი, ეუბნებოდა შენი ჩიტის ფრენამაო.

ჯერ კიდევ დილაბნელში იწყებდნენ ფრენას ჩიტები და მთლად რომ დაბინდდებოდა, მხოლოდ მაშინ ტოვებდნენ ცას.

ხალხმა კი იცოდა, რომ ქალაქის მახლობლად ტყეში ცხოვრობდნენ ჩიტები, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, ხეზე ან მიწაზე მჯდარი ენახა ისინი.

დაფრინავდნენ ჩიტები მთელ დღეს.

ცა იყო მათი სიცოცხლე.

და სიკვდილითაც ცაში კვდებოდნენ ფრენისას.

საღამოს პირს უსკდებოდათ პაწია გული, გადატრიალდებოდნენ ჰაერში და ფრთაგაშლილნი მოექანებოდნენ მიწისკენ გულაღმა, თითქოს ეთხოვებოდნენ ცას, მზეს და მოძმეებს...

შეეხებოდა თუ არა მიწას, ქრებოდა ჩიტი იმწამსვე და მის მაგივრად თეთრი ყვავილი ჩნდებოდა.

შენი ყვავილის ნათებამო, ეუბნებოდნენ თავისი ჩიტის სიკვდილით დამწუხრებულ კაცს.

კაცი უვლიდა თეთრ ყვავილს, მაგრამ ხშირად გაურბოდა თვალი ცისკენ და წყალსასხურიდან მიწას ელვრებოდა ყვავილს აცდენილი ჭავლი.

ჩიტებს უმღეროდნენ მომღერლები, ლექსებს უწერდნენ პოეტები.

და მხატვრებიც ცაში მონავარდე ჩიტებს ხატავდნენ.

მშვენიერი იყო ის ნახატები — მხოლოდ ცისფერი და თეთრი ფერის ნაზი ნარევი.

ოღონდ ხანდახან, როცა მიწისკენ წამოსულ მომაკვდავ ჩიტს ხატავდნენ, ჩამავალი მზის წითელ ბურთსაც აქცევდნენ მხატვრები ნახატის ჩარჩოში და მაშინ ჩიტის თვალში ცრემლიც წითლად იწყებდა კიაფს.

ერთხელ ერთი ნაღვლიანი მხატვარი ხატავდა ჩიტებს.

ალბათ, მიხვდით მისი სევდის მიზეზს, თეთრ ყვავილს უვლიდა ის მხატვარი. ჩიტი აღარ ჰყავდა უკვე.

ფიქრობდა თავის ჩიტზე და ხატავდა.

და მოგონებებში გართულმა შემთხვევით ცისფრად შეუღება ფრთა დახატულ ჩიტს. დახედა: „ოჰ, ეს რა მომსვლიაო!“—იფიქრა და მაშინვე თეთრად დაუწყო შეღებვა, მაგრამ უცებ გაჩერდა, ჩაფიქრდა და თქვა:

— მართლაც, რომ ლამაზი იქნება!

ეს სიტყვები ადამიანებს ბევრ სისულელეს აკეთებინებს ხშირად.

იმ ღამით მხატვარი წავიდა ტყეში, ავიდა ხეზე და ჩამოიყვანა ერთი ჩიტი.

ჩიტს ეძინა.

სიზმრადაც ცაში დაფრენენ და ამიტომ ძნელად ეღვიძებათ ჩიტებს.

წამოიყვანა მხატვარმა მძინარე ჩიტი, დასვა ოთახში მაგიდაზე და შეღება ნაირფრად.

მთელ ღამეს თავს დასტრიალებდა ფუნჯით ხელში.

ჩიტმა გაიღვიძა თუ არა, ფანჯრებს მიაწყდა, მაგრამ ამაოდ ეხეთქებოდა, დახურული იყო ფანჯრები.

ჩიტი რომ დაიღალა, დაიჭირა კაცმა, მიიყვანა და ჩაახედა სარკეში.

თავისი თავი აჭრელებული რომ დაინახა, ჩიტმა ტირილი დაიწყო.

მაშინ მხატვარი დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— შეხედე, რა ლამაზი ხარ!

თურმე ეს სიტყვები ჩიტებსაც ავიწყებს ყველაფერს.

დამშვიდდა ჩიტი...

მზე რომ ამოვიდა, მხატვარმაააფრინა ცაში ფერადი ჩიტი.

გაუკვირდათ ჩიტებს და ფერადი ჩიტის ირგვლივ დაიწყეს ფრენა.

ჩიტმა იფიქრა, თუ ვიფრინე, კარგად ვერ დაინახავენ რა ლამაზი ვარო და ხის კენწეროზე ჩამოჯდა.

დაფრინავდნენ მის გარშემო ჩიტები. უყურებდნენ ფერად ჩიტს ადამიანები და ფერადი ბუმბულით მოხიბლულთ არც ჩიტებს უფიქრიათ დიდხანს, არც ადამიანებს, რომ ეს იყო პირველი ჩიტი, უძრავად მჯდარი ყველას წინაშე.

იმავე ღამით რამდენიმე ჩიტი თვითონ შეფრინდა განგებ ღიად დატოვებულ ფანჯარაში.

იმათაც ლამაზად მოუხატა ტანი და ფრთები მხატვარმა.

მერე და მერე თანდათან იმატა გაფერადების მსურველი ჩიტების რიცხვმა.

და მალე ჩიტების დიდი რიგი გაჩნდა მხატვრის სახლის წინ.

აფერადებდა ჩიტებს მხატვარი.

სურდა ყველა ლამაზი ყოფილიყო, მაგრამ ერთმანეთს არ ჰგვანებოდნენ. ზოგს ძალიან ააჭრელებდა, ზოგზე ერთ-ორ ფერს ხმარობდა.

ჩიტები ისე გაიტაცა სილამაზის სურვილმა, რომ სულ დაკარგეს ჭკუა: ბუმბულს იგლეჯდნენ ზოგი ყელზე, ზოგი — ფრთებსა და ბოლოზე, ასე უფრო ლამაზი ვიქნებითო.

ბუმბულს ჯილდოდ უტოვებდნენ მხატვარს.

ის კი ბედნიერი იყო, ჩიტებს ვალამაზებო. ჩიტების ბუმბულით დიდი ბალიშები აავსო და როცა ჩიტების გაფერადებით იღლებოდა, იმ ბალიშებში ჩაფლული იძინებდა.

გარეთ აღარ გადიოდა — ან ჩიტებს აფერადებდა ან ეძინა.

რამდენჯერმე მოვიდნენ მასთან სხვა მხატვრები და სთხოვეს, დაფიქრდი, რას სჩადიხარო, მაგრამ ის ყურს არავის ათხოვებდა. გულში ფიქრობდა, ალბათ შურთ, ცა რომ ავავსე ჩემი ფერებითო.

ერთხელ კი გადადო ფუნჯი, მოდი, დავტკბები ჩემი ნამოქმედარითო.

გაიხედა ფანჯარაში.

და მაშინვე გულგახეთქილი გავარდა გარეთ.

ცარიელი იყო ცა — არ დაფრინავდა არც ერთი ჩიტი.

მხატვრის ეზო და ახლომახლო ქუჩები თეთრ ჩიტებს აევსოთ.

მოუთმენლად ელოდნენ გაფერადების რიგს.

ხოლო გაფერადებულნი დაგოგმანებდნენ და ერთმანეთს თავს აწონებდნენ.

შეძრწუნდა მხატვარი. აუქშია ჩიტებს, დაიწყო ხელების ქნევა.

მაგრამ არ იძვროდნენ ჩიტები.

უკვირდათ, რა უნდაო.

შევარდა მხატვარი სახლში.

დაამტვრია ფუნჯებიც და პალიტრაც, შორს მოისროლა საღებავები.

მერე ბალიშებს დაერია, დაფხრიწა, მიფანტ-მოფანტა.

თეთრი ბუმბულით აივსო სახლი.

ტრიალებდა ოთახში ბუმბული...

და სასოწარკვეთილი იდგა კაცი ჰაერში მოფარფატე ბუმბულებს შორის.

დაღამდა.

იჯდა კაცი სახლში და უსმენდა: გარედან მძინარე ჩიტების შფოთვა ისმოდა. ცას აღარ ხედავდნენ სიზმრად. სიზმარშიც ფავს ხედავდნენ გაფერადებულ ბუმბულს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ლამაზიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შფოთავდნენ ჩიტები...

მხატვარი იატაკზე თეთრად დაფენილ ბუმბულს დასცქეროდა...

... დილით მზე რომ ამოვიდა, ხალხმა დაინახა: იმ კლდის თავზე, ქალაქს რომ გადმოჰყურებდა, მხატვარი იდგა.

მხატვარს ჩიტების თეთრი ბუმბულით ფრთები გაეკეთებინა და თვითონ ჰგავდა ახლა დიდ თეთრ ჩიტს.

— შემომხედეთო! — გადმოსძახა ჩიტებს.

გადმოეშვა კლდიდან, გაშალა ფრთები.

იწყო ფრენა ქალაქის თავზე.

ფრინავდა ფრთაგაშლილი და უცქეროდნენ ჩიტები.

ბოლოს დაეღალა ხელები. წამოვიდა შხუილით და, ვიდრე მიწას დაეცემოდა, მოასწრო დაენახა, როგორ აიჭრნენ ჩიტები ცაში.

კვლავ დაფრინავენ ჩიტები.

თუმცა ყველა არ დაბრუნებია ცას.

ზოგი ახლაც უკან დასდევს ადამიანებს, იქნებ ფრთები მოგვიხატონო.

ბევრს მოეწონა მიწაზე სიარული და ნაგვის ქექვაც შეიყვარა. თუმცა ხანდახან მათაც მოაგონდებათ ხოლმე ცა, მოუვლით ფრენის სურვილი და დაიწყებენ ფრთების ფათქუნს, მაგრამ ამაოდ. იმდენი ბუმბული დაიგლიჯეს სილამაზისათვის, რომ საფრენად აღარ უვარგათ ფრთები.

ბევრი ფრინველი შორს გადაიკარგა სირცხვილით.

საცოდავი პინგვინები ზღვასთან ცხოვრობენ. ყოველ წუთს თავის დახრჩობას აპირებენ ცის სევდით. გაქანდებიან, გადახტებიან წყალში... მაგრამ არც თავი ეთმობათ, გადაიფიქრებენ და უკან გამოვლენ. ბაჯბაჯით დადიან ნაპირზე და ერთმანეთს თვალს არიდებენ.

საცოდავია სირაქლემა — სწრაფად დარბის უდაბნოს ცხელ ქვიშაზე.

გარბის, გარბის, სურს აფრინდეს, მაგრამ ვერ აფრენილა. ამდენი სირბილით ფეხებიც დაუგრძელდა და კისერიც დაუგრძელდა საწყალს ცისკენ აწვდილი.

მაგრამ ყველაზე საცოდავი მაინც ერთი ფრინველია.

ფარშავანგზე მოგახსენებთ.

გაშლის ლამაზ კუდს და დაიფხორება ამაყად. ცა აღარც ახსოვს. ვერ ხვდება საბრალო, რომ ახლა იგი ინდაურია და მეტი არაფერი; ლამაზი ინდაური.

დაფრინავენ ნამდვილი ჩიტები.

ადამიანებს ახლა ძველებურად აღარ უყვართ ჩიტების ცქერა. თუ ვინმე გაერთობა ჩიტების ცქერით, უკვირთ კიდევაც. აღარც ჩიტები ჰყავთ ამორჩეული და ერთიმეორეს დაცინვით თუღა ეტყვიან, შენი ჩიტის ფრენამაო.

აღარც ჩიტების ფრენაა ისეთი, როგორც უწინ იყო. აღარც ფრენისას კვდებიან და მათი მიწაზე დაცემის ადგილას აღარც თეთრი ყვავილები ამოდიან, აღარ ანათებენ ღამეში.

ცოტას გაიფრენ-გამოიფრენენ ჩიტები და ჩამოსხდებიან ხეთა ტოტებზე. ისევ თავის სილამაზეზე ფიქრობენ.

ესაა სწორედ უბედურება, რომ ჩიტებსაც დავიწყებიათ:

თუ ფრენა შეგიძლია, მშვენიერი ხარ ამით!

უნდა იფრინო!

და არ გინდა სხვა სილამაზე!

# ზღვის პირას, მალთაყვაში



შავი ზღვის, პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარჭინის მოზრდილ სანაპირო ზოლში მოქცეულმა მალთაყვამ უკვე კარგა ხანია, რაც ყურადღება მიიქცია თავისი მზიანობითა და კლიმატით. ამ მიდამოში საკმაოდ დიდია ულტრაიისფერი სხივების დაცემის ხანგრძლივობა, ხოლო ზღვის სიღრმე ნაპირიდან 200-300 მეტრის დაშორებით მხოლოდ წელამდე წვდება ადამიანს. ასეთი თავთხელი წყალი ადამიანს საშუალებას აძლევს უშიშრად შევიდეს ზღვაში, ინებივროს, პატარა ტალღების მეშვეობით ბუნებრივი მასაჟი მიიღოს. მალთაყვაში გურია-აჭარის მთებიდან მონაქროლ ნიავს წყლებისა და მცენარეების ოზონიანი სურნელება მოაქვს. ასეთი სანუკვარი კლიმატი ერთობ სასარგებლოა გულის სისხლძარღვთა, ბრონქიალური ასთმის დაავადებების სამკურნალოდ, სისხლის ნორმალური მიმოქცევისათვის.

ჩვენ მხოლოდ ორ სტროფს შევახსენებთ მკითხველს ლექსიდან „მალთაყვა“, რომელიც პოეტმა პაოლო იაშვილმა უძღვნა ამ კუთხეს.





☐ ახალი დამსვენებლები.

☐ აქ დამეგობრდნენ.

☐ სასადილოში

☐ სასადილოს მშენებლობაზე.

☐ კარავთან

☐ დასასვენებელი სახლის ხედი.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

# „ვაშა ლონდონში!“

კარპე ლონდაძის მსგავსი მეზობელი თუ გყავთ, საცხოვრებელი ფართის სივიწროვეს თუ განიცდით, ბინის აღრიცხვაზე თუ ხართ და მოთმინება არ გყოფნით რიგს დაელოდოთ, წაიკითხეთ ეს მოთხრობა და მიხვდებით, რაც უნდა გააკეთოთ.

ავტორისაგან

სოლოლაკში, თბილისის ამ ძველი არისტოკრატული უბნის ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე ვარდისფერი ორნამენტებით მოჩუქურთმებული პატარა, ნატიფი გემოვნებით ნაგები, ლამაზი, ერთსართულიანი სახლი დგას. სადარბაზო შესასვლელში ინგლისურ ენაზე ამოტვიფრულ ოქროსფერ წარწერას ამოიკითხავთ: რობერტ როინგოლდი, 1909 წელი. დიახ, სწორედ ამ ვარდისფერი ორნამენტებით მოჩუქურთმებულ სახლში დავიბადე, რომელშიც ოდესღაც ვიღაც გადამთიელი რობერტ როინგოლდი ცხოვრობდა. აქვე დავწვრილშვილდი, დავმსხვილშვილდი და წლების მანძილზე ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდი. ჩემი კარის მეზობელს ინგლისური ენის ქუსლებმოცვეთილ სპეციალისტს, ადრე აფერისტობაზე ორჯერ ნასამართლევს, მარტოხელა კარპე ლონდაძეს კი სამოთახიანი ბინა ეკავა. გაფართოების მანიით შეპყრობილ ლონდაძეს ცალი თვალი ჩემი ოკულისტი მეუღლისაკენ, ხოლო მეორე — ჩვენი ოთახისაკენ ეჭირა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო მთელი სართული. რამდენჯერმე შემომთავაზა კიდეც მოზრდილი თანხა, მაგრამ ყოველთვის უარით ვისტუმრებდი. განაწყენებული კარპე ლონდაძე სამაგიეროს გვიხდიდა და ყველანაირად ცდილობდა ჩვენ შევიწროებას. ბოლოს ისე გათავხედდა, ჩემ ოკულისტ მეუღლეს მარჯვენა თვალიც კი ჩაუკრა. კიდევ კარგი, ნასვამი ვიყავი და თავი შევიკავე, ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, ვინ იცის, რა მოხდებოდა. როცა გამოვფხიზლდი, ავღელდი, გულში შურისძიების გრძნობამ იფეთქა, სანადირო თოფს წავავლე ხელი და ის იყო გაბოროტებულმა გადავწყვიტე ბოლმის გასაქარვებლად მწყრებზე სანადიროდ წავსულიყავი, რომ მოულოდნელად ჩემი ბავშვობის მეგობარი, მხეცების მომთვინიერებელი ოინბაზი შალვა ხაინდრავა მესტუმრა. როცა ჩემი აღელვების მიზეზი გაიგო, სოლომონ ბრძენივით დიდხანს იყო ჩაფიქრებული, ბოლოს თავი ასწია, ლონდაძის ზუსტი კორდინატები ჩაიწერა და ღიმილით მაუწყა:

— ჩემ პრაქტიკაში 23 ლომი, 13 ვეფხვი და 7 ვირი მყავს მოთვინიერებული. მერვე ლონდაძე იქნება! — მხეცების მომთვინიერებელმა ეშმაკურად ჩაახველა და იდუმალი ხმით მაუწყა, — ზეგ ინგლისში საგასტროლოდ ერთი თვით მივემგზავრები. ორ კვირაში ლონდონიდან ლონდაძეს ინგლისურ ენაზე დაწერილ წერილს გამოვუგზავნი. ბარათის მიღებისთანავე იგი ბუგრიმოვას ლომივით ფეხქვეშ გაგეგება!

ზუსტად ორი კვირის შემდეგ სადარბაზო შესასვლელთან ფოსტალიონი შემხვდა, მან ხელში ცისფერი კონვერტი შეათამაშა და პათეტიკურად წარმოთქვა:

— ნახე პარმენიჩ, ინგლისიდანაა, მანგლისიდან არ გეგონოს, ლონდაძეს ლონდონიდან გამოუგზავნეს!

ლონდონიდან ბარათის მიღებისთანავე სასწაული მოხდა — ლონდაძეს ვეღარ იცნობდით. იგი ისე შეიცვალა, ისე მოთვინიერდა, რომ ანგელოზის ფრთები გამოესხა, ბადაგივით დატკბა, ზრდილობის ეტალონად გადაიქცა, აღარ იცოდა, რითი ვესიამოვნებინეთ.

ერთ დღეს მუხანესვით ხელდამშვენებულმა ლონდაძემ კარი შემოაღო, სევდიანად მომესალმა და ნაღვლიანად წარმოთქვა:

„აქ აგარაკი გაშენდება —
სექტემბრის დილას,
მზე დაადგება ამ დარჩეულ და
წმინდა სილას,
აქ სურნელებას გამოსცემენ
ფიჭვის სახლები,
აქ ზღვის ნანინას მოუსმენენ
ღამით ბავშვები.
მზიანი დღეა... სიჩუმეა,
სიჩუმე სრული,
და ჩვენც ვიძახით ბუნებისთვის
გახსნილი გულით:
აი ცხოვრების ბედნიერი
აღმოცენება,
აი მალთაყვა, უახლოეს დღეთა
მშვენება.

მართლაც, ადრევე ასეთი უნდა გამხდარიყო მალთაყვა, მაგრამ სამამულო ომის ქარიშხალმა რამდენიმე წლით შეაჩერა მისი სასიკეთო ფერისცვალება. მერე თანდათან გაშენდა, დამშვენდა, ვრცელი ტყე-პარკის მწვანე სამოსში გაეხვია, ლამაზი და ხატოვანი გახდა.

1962 წლიდან აქ ბინა დაიდო ტურისტულმა ბაზამ, რომელიც მალთაყვის თითქმის შუაგულში, ვრცელ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ ყოველ სეზონში თერთმეტი ათასზე მეტი ტურისტი ჩამოდის ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

მალთაყვაში ტურისტებისა და დამსვენებელთა ნაკადის ყოველწლიურმა მატებამ საჭირო გახადა გამოენახათ დამატებითი წყარო მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ სასიკეთო საქმეში დიდი მონდომება გამოიჩინა ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, რომელსაც გადაეცა პლაჟი და გამოეყო 4.500 კვადრატული მეტრი ფართობი ტყე-პარკის ზონაში. აი რას გვეუბნება ამ სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი მიხეილ სესკურია:

— 1971 წელს პირადი ინიციატივით და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით მალთაყვაში დასაბამი მიეცა ახალი ტიპის სადღეღამისო მომსახურებას. პირველად აქ მხოლოდ შვიდი ორადგილიანი ხის სახლი დავდგით. მთელ ზაფხულში 200-230 კაცი გვყავდა სტუმრად.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ფართობის გამოყოფის შემდეგ ყოველწლიურად ვზრდიდით სახლების რაოდენობას. დღეისათვის ჩვენს დასასვენებელ კოლხურ სავანეში, რომელსაც „გაზაფხული“ ჰქვია, სტუმართა განკარგულებაშია 5 ორსართულიანი საზაფხულო ტიპის სახლი და საცხოვრებელი კემპინგები; „გაზაფხულში“ 205 ოთახია — 552 საწოლით. გვაქვს დამხმარე ნაგებობები: სასადილო, საკუჭნაოები, მედპუნქტი, აბანო-სამრეცხაო, რადიოკვანძი და სხვა. ავითვისეთ კიდევ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც მოვაწყეთ მეფრინველეობა-მეღორეობის დამხმარე მეურნეობა. შარშან ჩვენთან 2.815 კაცმა დაისვენა. ისინი ძირითადად ჩვენი პირველი ხელშემწყობნი — ხარკოველი მშრომელები იყვნენ...

აი როგორ გაიდო საზაფხულო დასვენების ორგანიზაციაში მეგობრობის ხიდი ფოთსა და ხარკოვს შორის:

ხარკოვის სატრაქტორო სამრეწველო პროფილის რამდენიმე მონათესავე საწარმოს სურდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ჰქონოდა მუდმივი დასასვენებელი კერა თავიანთ მუშა-მოსამსახურეებისათვის. საცხოვრებელი ფონდის შექმნა-გაშენებაში საწარმოები თვითონვე გაიღებდნენ სახსრებს. ამ მიზნით ინიციატივა ხელთ აიღეს სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ვ. ვ. ბიბლიკმა და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. პ. კოჩევანმა. მერე მათ მხარში ამოუდგნენ ხარკოვის ვ. ა. მალიშევის სახელობის სატრაქტორო მანქანათმშენებლობის ქარხნის და ქ. კუპიანსკის ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის მრავალ ჩამოსხმული ქარხნების ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა ხელშეწყობით კიდევ უფრო გაიზარდა და გალამაზდა მალთაყვაში მშრომელების დასასვენებელი ადგილი.

ერთდროულად აქ ყოველ ნაკადში უკვე 470 ადამიანი ისვენებს, მალე მთელ სეზონზე 3.300 სტუმარი დაისვენებს.

ხარკოველთა მონაწილეობით შენდება ახალი თანამედროვე ტიპის სასადილო 500 ადგილით. მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის მეგობრებს აქ 5 ათასამდე დამსვენებელი ეყოლებათ.

აი ასეთია დღეს ბარაქიანი კოლხური მიწის ზღვისპირად გაშლილი კურორტი მალთაყვა, რომელსაც, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, ბევრი კეთილი სტუმარი ჰყავს ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

კარლო კომახიძე.







— მთელი ღამე არ მეძინა!

დაუპატიჟებელი სტუმარი სავარძელზე დაეშვა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ჩვენი ოთახი მუშტრის თვალით შეათვალიერა, ფანჯრის რაფის მარჯვენა მხარის მარცხენა კუთხეს დააშტერდა და დათაფლული ხმით დაიწყო:

— ლევ ბარბახოვსკის რომანის „ნაბიჭვარის“ მეორე ტომის წაკითხვისთანავე გადავწყვიტე, ჩემი ახლად გარემონტებული სამოთახიანი ბინა თქვენ, მრავალშვილიან ოჯახს დაგითმოთ. მე კი თქვენ ერთოთახიან ბინაში გადმოვიდე საცხოვრებლად.

მოულოდნელობისაგან დავიძაბე, მე და მეუღლემ ერთმანეთს გაოგნებით გადავხედეთ, როცა დავრწმუნდით, რომ ლონდაძე არ ხუმრობდა, სიხარულისაგან კრუნჩხვები დამეწყო. მეუღლეს გული აუჩუყდა; თავი სიზმარში გვეგონა.

მალე ბინები გავცვალეთ. ეს დაუჯერებელი ამბავი მეხივით გავარდა და მთელ ქალაქს გრიგალივით გადაურბინა. საიდან არ მოდიოდნენ ლონდაძის გასაცნობად, გულმხურვალედ ულოცავდნენ კეთილშობილურ საქციელს...

ჯერ სიხარულით გამოწვეული ბედნიერება ხეირიანად არც კი გვქონდა მონელებული, რომ ერთ დღეს თავზე ცივი წყალი გადაგვესხა და დედაბუდიანად აგვაფორიაქა — ამხანაგური სასამართლოდან უწყება მივიღეთ. „კეთილშობილ“ ლონდაძეს ბინის უკან დაბრუნებაზე და საერთო საკუჭნაოს მითვისებაზე სარჩელი აღეძრა.

როცა ყველა ინსტანციაში ხელი მოეცარა, თვალები ჩაუღამდა, ციცარის კვერცხივით დაპატარავდა. ნორმალურ ჭკუაზე აღარ იყო კაცი. იგი ყოველ საღამოს აივანზე გამოდიოდა, ლონდონიდან მიღებულ წერილს რამდენჯერმე კითხულობდა, მჭიდს მკერდში იცემდა, მერე სკამზე ხტებოდა, ხელს ინგლისის ნაცვლად სურამისაკენ იშვერდა და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა:

— გამიშვით ლონდონში!

ერთ დღეს სკამიდან ჩამოვარდა, კედელს თავი მიახეთქა და გრძნობადაკარგული იატაკზე გაიშხლართა. დრო ვიხელთე, წერილი ჯიბიდან ამოვაცალე და გულის უბეში ჩავიდე. მალე ლონდაძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გააქანეს, მე კი ვაკეში მცხოვრებ ერთ ნაცნობ მაღაზიის სექციონერისაკენ გავქანდი, რომელმაც ინგლისური ენა იცოდა. მან სულმოუთქმელად გადაიკითხა ბარათი, შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა და შეშინებულმა მკითხა:



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



# მობრძანდით, ბედით!

მომხიბვლელი ელისო როიალზე ვირტუოზულად ასრულებს დიდი პოლონელი კომპოზიტორის შოპენის ვალსს.

მერე სმენას ატყვევებს ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც „სულიკოს" მღერის.

სანახაობას სანახაობა ენაცვლება. ახლა ვაჟი და ქალიშვილი გამოდიან საცეკვაოდ. მერე სცენას, დოლისა და ზურნის აკომპანემენტის თანხლებით, ძველი თბილისელი კინტოები და ყარაჩოხელები ეუფლებიან.

გრიალებს ტაში. კმაყოფილი სტუმრები ღიმილსა და გაოცებას ველარ იოკებენ.

არ გეგონოთ, რომ ეს სტუმრები რომელიმე საკონცერტო დარბაზში, ანდა რომელიმე კლუბში იმყოფებიან .არა, ისინი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ „საბავშვო სათამაშოების მუზეუმში" შეკრებილან.

ყველა ზემოჩამოთვლილი საკონცერტო ნომრების შემსრულებლები კი იცით ვინ არიან? თოჯინები! დიახ, ქართველი ხელმარჯვე ოსტატების მიერ დამზადებული ჩვეულებრივი თოჯინები.

მთელს საბჭოთა კავშირში ეს უნიკალური თოჯინების მუზეუმი ორმოცი წლის წინათ შეიქმნა. მისი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, აწ განსვენებული თინათინ თუმანიშვილი.

განათლების სახალხო კომისარიატმა თავდაპირველად თოჯინების ამ მუზეუმს ათარბეგოვის ქუჩაზე სამი ოთახი გამოუყო. პირველად ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმიდან უკან აღარ დაუხევიათ. რის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს თოჯინების პირველი ნიმუშები და გემოვნებით მოაწყეს მათი ექსპოზიცია. მუზეუმის არსებობას სანამ გაიგებდნენ, ხალხი კანტიკუნტად მოდიოდა, შემდეგ კი თანდათან იმატა მნახველთა ნაკადმა.

ომისშემდგომ წლებში მუზეუმს ადგილსამყოფელი შეუცვალეს და თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გადაიტანეს.

ახალ შენობაში ახალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა. მხატვარ-კონსტრუქტორებმა რაფიელ ბეგთაბეგიშვილმა, ნინო ბრაილაშვილმა, ნინო ბელიაევამ, ვერა მირიანაშვილმა, გლებ ალექსანდროვმა და სხვებმა წლების მანძილზე ორიგინალური, მაღალოსტატურად შესრულებული ნიმუშებით გაამდიდრეს მუზეუმის კოლექცია.

ღვაწლმოსილი თ. თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მუზეუმს ამ საქმის დიდი მოყვარული და ენთუზიასტი ვასილ ბაგრატიონი ჩაუდგა სათავეში. მუზეუმის პატარა, ერთი ოჯახივით შეკრული კოლექტივი, დღეს ფართო შემოქმედებით მუშაობას ეწევა. მეცნიერ-მუშაკები ელისო კოტრიკაძე და ეთერ ბუჩუკური ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან გულმოდგინედ აგროვებენ თოჯინების — ნაციონალური საბავშვო სათამაშოების საუკუნეობით დამკვიდრებულ სახეობებს, ისინი ამ თემაზე წერენ თეორიულ ნაშრომებს, რომელთა კრებულს უახლოეს ხანში იხილავენ მკითხველები.

მუზეუმის ექსპოზიციას, თოჯინების სათანადო განლაგებას, მათ ჩაცმულობას მხატვარი დალი ჭუბაბრია ხელმძღვანელობს. ასე კოპწიად და მაღალი გემოვნებით რომ აქვთ მიჩენილი თავთავიანთი ადგილები თოჯინებს — ეს სწორედ დალი ჭუბაბრიას უმთავრესი დამსახურებაა.

სტუმარი გამოულეველი ჰყავს მუზეუმს. დღეს აქ უწყვეტ ნაკადად მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხის წარმომადგენლები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტუმრები — რიგითი ადამიანები, პარლამენტის წევრები, სენატორები, გრაფები, ლორდები, დედოფლები და თვით მეფეებიც კი. შთაბეჭდილებათა წიგნები (დიახ, არ შეგვშლია — უამრავი წიგნები) სავსეა მუზეუმის სტუმართა აღფრთოვანებული ჩანაწერებით: „მესანიშნავია", „აღფრთოვანებული ვარ", „ზღაპრულ სამყაროში მოვხვდი", „განუმეორებელია", „მოხიბლული ვართ მუზეუმის კოხტა, სწორუპოვარი ექსპონატებით", „მოულოდნელობა და განცვიფრება — აი, რა ვიგრძენი ამ პატარა მუზეუმში".

და მართლაც, ყველა აქ მოსული კმაყოფილი და აღტაცებული რჩება. სტუმრების ყურადღებას იპყრობს „მტირალა გოგონა", „გრძელცხვირა არლეკინი გიტარით ხელში", „ყავის სმა", „მგალობელი ჩიტები", „მერძევეები", „ლუარსაბი და დარეჯანი", მხატვარ ნინო ანთაძის მიერ ბუნების მასალისაგან (გირჩი, სოკო, მცენარეების თესლები, ყვავილები, ჩალა და სხვა) ზღაპრულ თემებზე შექმნილი მრავალი კომპოზიცია...

განსაკუთრებულ ემოციას იწვევს მნახველებში თოჯინა „მარინე", რომელიც საპნის ბუშტებს უშვებს. იგი ეშმაკურად აცეცებს თვალებს და თითქოს გეუბნებათ — აბა მიყურე, ეხლა რას გავაკეთებ!

მუზეუმი საყოველთაო მოწონებას იმსახურებს და ამიტომაც გაითქვა სახელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მუზეუმის თოჯინების ზოგიერთი ნიმუში სხვადასხვა დროს ექსპონირებული იყო ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინდოეთში, ბელგიაში... მათ სპეციალური პრიზები დაიმსახურეს სრულიად საკავშირო მუზეუმების დათვალიერებაზე, რომელიც 1967 წელს მოეწყო, სანიმუშოდ მოწყობილი მუშაობისათვის „საბავშვო სათამაშოების თბილისის მუზეუმი" სპეციალური საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

სინანულით მხოლოდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ნუთუ დღეს, საყოველთაო აღმშენებლობის ეპოქაში, არ არსებობს იმის საშუალება, რომ სამოთახიან მუზეუმს მოემატოს საჭირო ფართობი? უამრავი შესანიშნავი ექსპონატი, უადგილობის გამო, დღეს საცავშია გადანახული და სინათლეს ვერ ხედავს. მათი გამომზეურება კიდევ უფრო პოპულარულს გახდის მუზეუმს, კიდევ უფრო შორს გაუთქვამს სახელს.

ტარიელ ჯანიაშვილი

---

— ეს წერილი სხვას ხომ არავის წაუკითხავს ჩემამდე?!

არავის წაუკითხავს-მეთქი, ვიცრუე. სექციონერმა შვებით ამოისუნთქა, ხელი მხარზე გადამხვია, თავისი საკუთარი ბინა დამათვალიერებინა, ფრანგული საკოსტუმე მაჩუქა და შემპარავი ხმით დაიწყო:

— ჩემ ეზოში მერცხლები მომრავლდნენ, მერცხლების ჭიკჭიკს ორგანულად ვერ ვიტან, ისღა დამრჩენია, ჩემი მაღალჭერიანი, ხუთოთახიანი იზოლირებული ბინა, სამი ლოჯიით, ორი აივნით, ეზოთი, ქვევრებჩაყრილი მარნით და გარაჟით შენ სამოთახიან ბინაში გაგიცვალო.

ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ლონდონიდან გამოგზავნილ ბარათში რაღაც ჯადოსნური ეწერა, გონება დამიბინდდა, ფრანგული საკოსტუმე ამოვიღლიავე, სექციონერს წერილი ხელიდან გამოვგლიჯე და ის იყო, თავპირის მტვრევით კიბე ჩავირბინე, ამ დროს სექციონერის თავგანწირული ყვირილი შემომესმა:

— შეჩერდი, შავ „ვოლგასაც" გიმატებ!

შინ რომ დავბრუნდი, ნაბოლარა ვაჟიშვილმა ლონდონიდან გამოგზავნილ ბარათს ხელი დასტაცა და მანგლისიდან სტუმრად ჩამოსულ ბებიას მიურბენინა. წელკავიანმა მოხუცმა ჩაახველა და რაფინირებული ინგლისური ენის სპეციალისტის დიქციით წერილის კითხვა ხმამაღლა დაიწყო:

— მისტერ ლონდაძე! აი რაიტ იუ ზის ლეტა...

ყურს არ დაუჯერე, უდიპლომო სიდედრის წინ მუხლებზე დავემხე და სასოებით შევძახე:

— კირა კირაოსოვნა, საიდან იცით ინგლისური ენა?!

კირა კირაოსოვნამ ხმა არ გამცა, წელზე შემოხვეული მოხერის შალი შეისწორა, მედიდურად გადმომხედა და კითხვა განაგრძო. შევეხვეწე, ქართულად ეთარგმნა ბარათი; მან უყოყმანოდ მიიღო ჩემი თხოვნა და თარგმნა დაიწყო:

— მისტერ ლონდაძე, ამ ბარათს გწერთ 87 წლის უთვისტომო მოხუცი, რობერტ როინგოლდი. სახლი სოლოლაკში, რომელშიც თქვენ ახლა ცხოვრობთ, ოდესღაც ჩემი საკუთრება იყო. ამჟამად სარეცელზე ვარ მიჯაჭვული, ჩემი დღეები დათვლილია, ვინაიდან სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე არავინ მრჩება, უმორჩილესად გთხოვთ, ყოველ ხუთშაბათს დაანთოთ სანთლები ჩემი ტანჯული სულის მოსახსენებლად, სამაგიეროდ, მე თქვენ გიტოვებთ მაწვნის ქილაში ჩაწყობილ სამას გირვანქა ბაჯაღლო ოქროს და ძვირფას თვალმარგალიტს. — კირაოსოვნამ გაიხედ-გამოიხედა, უცხო ხომ არავინ გვისმენსო და თარგმნა განაგრძო, — ეს განძი გადანახული მაქვს თქვენ ბინაში, ბოლო ოთახის მარჯვენა ფანჯრის მარცხენა კუთხეში. გამოანგრიეთ კედელი და თუ სანთლებს დამინთებთ, ეს სიმდიდრე ღმერთმა ბედნიერებასა და სიკეთეში მოგახმაროთ. პატივისცემით მისტერ რობერტ როინგოლდი, ლონდონი, მედიგან სკვერი, ავენ სტრიტის ბულვარი.

— ვიღაც მოცლილს დაუწერია, დავწვეთ, დავიძინოთ! — ჩემმა სიდედრმა ძალით ჩაგვაწვინა ლოგინში, სინათლე ჩააქრო და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ღამის 3 საათი იქნებოდა, ბურანში ხმაური შემომესმა. თვალი გავახილე, ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, შიშმა შემიპყრო, მეუღლე გავაღვიძე, იგი ელდანაცემივით წამოხტა და თავდავიწყებით შეჰყვირა:

— მგონი, დედაჩემი საგვარეულო ტახტიდან ჩამოვარდა!

დაფეთებულები ოთახში შევიჭერით, თვალებს არ დავუჯერეთ — ჩემი წელკავიანი სიდედრი საცვლებისამარა, მაღაროს მნგრეველივით მუხის რაფას მისდგომოდა და წერაქვით მარჯვენა ფანჯრის მარცხენა კუთხის კედელს ანგრევდა... კიდევ კარგი, დროზე მივუსწარით, თორემ მთელ ფანჯრებს ძირს გამოუთხრიდა. საბრალო მოხუცი ძლივს დავაჯერეთ, ეს წერილი ლონდაძის გასაცურებლად ჩემი ბავშვობის მეგობრის — მხეცების მომთვინიერებლის შალვა ხაინდრავას მიერ რომ იყო გამოგზავნილი ლონდონიდან.

თენგიზ პირველი

# ნარევი

## სწრაფი საუბარი

ინგლისელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ პატარა ბავშვთან საუბრის დროს საჭიროა მკაცრად დავიცვათ სიტყვათა წარმოთქმის სიჩქარე.

ბავშვებთან დინჯ საუბარზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს სწრაფი საუბარი — წუთში დაახლოებით 175 სიტყვის წარმოთქმა. ასეთი სიჩქარით საუბრის დროს ბავშვები უფრო სრულად და კარგად აღიქვამენ იმას, რაზეც ვესაუბრებით, — ირწმუნებიან ცდების მომწყობი ინგლისელი სპეციალისტები.

## 20 მილიარდი დოლარი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 2.700 ცალი სიგარეტი, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოებით 2000-მდე, იაპონიაში — 2.600, მექსიკაში — 700, აფრიკის უმრავლეს ქვეყნებში — 400-500 ცალი სიგარეტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელები სიგარეტის შესაძენად ყოველწლიურად ხარჯავენ 20 მილიარდ დოლარს.

## ექვსი ფეხი

უძველესი ხანის გენიალურმა მოაზროვნემ და სწავლულმა არისტოტელემ ერთ-ერთ თავის თხზულებაში აღნიშნა, რომ ბუზს რვა ფეხი აქვს.

ვის შეეძლო შეეტანა ეჭვი არისტოტელეს სიმართლეში? ვის მოუვიდოდა აზრად ამ მარტივი, უბრალო ამბის შემოწმება?

თითქმის ორი ათასი წელი ისე იყო მიღებული, რომ ბუზს მართლაცდა რვა ფეხი ჰქონდა.

ერთ-ერთმა სწავლულმა შემთხვევით დაადგინა, რომ ბუზს თურმე რვა ფეხი კი არ აქვს, არამედ ექვსი ფეხი.

## კიდევ ერთი აკლდამა

ჩეხოსლოვაკელმა სპეციალისტებმა ეგვიპტეში სამეცნიერო ექსპედიციის დროს აბუ-სირის რაიონში აღმოაჩინეს ახალი პირამიდა. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ახლად აღმოჩენილ პირამიდაში დაკრძალული იყო კენტკაუხი, ფარაონ ნეფერირკარის (მეხუთე დინასტია) საყვარელი ცოლი.

პირამიდის ხნოვანებაა XXV საუკუნე ჩვენს ერამდე.

## ოქროს მედლები დაიმსახურა

გამოშვებული ექსკავატორების რაოდენობით ვარშავას ევროპაში მესამე ადგილი უკავია. პოლონური ექსკავატორები, რომლებსაც მოსკოვის, ბრნოსა და მაგდენბურგის საერთაშორისო გამოფენებზე ოქროს მედლები აქვთ მიღებული, მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნება.

ვარშავის ექსკავატორების ქარხანა უახლოეს ხანში გამოუშვებს ახალი კონსტრუქციის უმძლავრეს ექსკავატორებს. ამ გიგანტური ექსკავატორების რიცხვში ტონობით ტვირთი ჩაეტევა.

ახალ ექსკავატორებს მეათე ხუთწლედში დიდი რაოდენობით შეიძენს საბჭოთა კავშირი.

## საზღვარგარეთის კინოს ამბები



შემოქმედებითი დღეგრძელობის იშვიათი მაგალითია თავის დროზე უპოპულარესი იტალიელი მსახიობი ქალის ფრანჩესკა ბერტინის ცხოვრება. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მას 90 წელი შეუსრულდა. ჩვენი საუკუნის დამდეგს 16 წლის გოგონამ პირველად შედგა ფეხი კინოს სამყაროში, გადაიღეს ფილმში „ზღვის ქალღმერთი“. სულ ახლახან კი ხანდაზმულმა მსახიობმა შეასრულა როლი ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში „მეოცე საუკუნე“.

ფრანჩესკა ბერტინის (მისი ნამდვილი სახელი და გვარია ელენა სერაჩინი ვიტიელო) ცხოვრება და შემოქმედება არა მარტო იტალიის, არამედ მსოფლიო კინოს ისტორიაა. მის სახელთან არის დაკავშირებული საერთაშორისო კინოს ბევრი გამარჯვება. საკმარისია ითქვას, რომ 1915 წელს დამკვიდრებული ტიტული „კინოსაოცრება“ პირველად სწორედ მან დაიმსახურა, როცა შეასრულა მთავარი როლი ფილმში „ასუნტა სპინა“. ეს კინოსურათი (რეჟისორი გუსტავო სერენა) ასახავდა ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იტალიურ კინოხელოვნებაში რეალისტური მიმართულების განვითარებაში.

* * *

მსოფლიო კინოს ერთ-ერთი დამაარსებელი ამერიკელი რეჟისორი დევიდ უორკ გრიფიტი ყველასაგან მივიწყებული ამ ოცდაათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა.

დ. უ. გრიფიტმა დიდი ამაგი დასდო კინოხელოვნებას, დაამუშავა კინოს ბევრი ტექნიკური ასპექტი, ხელი შეუწყო ნიჭიერ კინომსახიობთა მთელი პლეადის წარმოჩენას, მაგრამ... ერთი „ნაკლი“ ჰქონდა — საოცრად არაპრაქტიკული იყო და დროზე ადრე გამოვიდა მოდიდან.

ახლა გრიფიტი ასი წლის იქნებოდა. ამ თარიღმა თუ სხვა მოსაზრებამ განაპირობა ის ფაქტი, რაც საკმაოდ იშვიათია ამერიკის შეერთებულ შტატებში — მისი სახელი მიანიჭეს ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინოთეატრს.

* * *

მსოფლიო კინოს ეკრანზე კვლავ გამოჩნდა ამერიკული ესტრადის მშვენება ლიზა მინელი. მანამდე მინელიმ პოპულარობა მოიპოვა ფილმებში „კაბარე“ და „გველის კვერცხი“.

ცნობილმა რეჟისორმა დევიდ ჰემინგსმა ამჟამად მინელი მიიწვია ფილმში „პატარა ჟიგოლო“, რომელშიც ლიზა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

ლიზა მინელთან ერთად ფილმში მონაწილეობენ ცნობილი კინოვარსკვლავები დევიდ ბოვი, კიმ ნოვაკი (ახლა იგი 45 წლისაა), მარლენ დიტრიხი (იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს და მღერის კიდევაც).

## საინტერესო ფაქტები

1926 წელს რესპუბლიკის კომკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში კომკავშირული საფეხბურთო გუნდების ჩამოყალიბების შესახებ. დადგენილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში უკვე 120 გუნდი იყო.

ამავე პერიოდში თბილისში შეიქმნა მსაჯთა პირველი კოლეგია.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა საქართველოდან ბათუმელმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს თურქეთში.

1925 წელს საკლუბო გუნდებს შორის მწყობრში ჩადგა თბილისის „დინამოს“ საბჭოსთან შექმნილი საფეხბურთო გუნდი.

თბილისის „დინამოს“ ახლად შექმნილ გუნდში თამაშობდნენ ა. ჟორდანია, ა. ფოჩხუა, დ. ახობაძე, დ. ცომაია, ა. გალპერინი და სხვ.

ბათუმიდან, რომელიც იმ დროს ფეხბურთში უძლიერესად ითვლებოდა, თბილისის „დინამოში“ გადმოვიდნენ ი. პანინი, ნ. ანიკინი, ს. იაკიმიდი და სხვ.

1927 წელს „დინამოს“ საზოგადოებასთან შეიქმნა ჭაბუკთა გუნდები. სწორედ ამ ჭაბუკთა გუნდებში მიიღეს თავიანთი პირველი წვრთნა შემდგომში ცნობილმა ფეხბურთელებმა შ. შავგულიძემ, მ. ბერძენიშვილმა, ა. დოროხოვმა, მ. მინაევმა...

თბილისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა დაიწყო 1927 წელს და მწყობრში ჩადგა რვა წლის შემდეგ. იგი 30.000 მაყურებელს იტევდა.

დინამოელებმა 1928 წელს ჩაატარეს ერთთვიანი ტურნე დონბასში, სტალინგრადში, ნიკოლაევში. მათ მოიგეს 11 მატჩი, 5 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 2 თამაში წააგეს.

სკანდინავიაში ამიერკავკასიის ნაკრების ორივე ტურნეში (1926—1935 წწ.) თბილისის „დინამოდან“ გამოდიოდნენ ა. ჟორდანია, შ. შავგულიძე, ვ. ამბოკაძე, ა. დოროხოვი, მ. ასლამაზოვი, მ. ბერძენიშვილი, ი. პანინი, გ. ჭუმბურიძე და სხვ.

1931 წელს თბილისის „დინამომ“ საკავშირო გათამაშებაში წარმატებით დაიცვა ამიერკავკასიის სპორტული ღირსება. გუნდი ფინალში გავიდა და მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრა წააგო რსფსრ-ის ნაკრებთან.

1932 და 1935 წლებში საკავშირო გათამაშებაში გამოდიოდა უკვე თბილისის ნაკრები.

გუნდმა 1928, 1934, 1935 წლებში გაიმარჯვა ამიერკავკასიის პირველობის გათამაშებაში.

საკლუბო გუნდების პირველ საკავშირო ჩემპიონატში თბილისის დინამოელები „ბ“ ჯგუფში მონაწილეობდნენ. მათ ექვსი შეხვედრიდან 5 შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს, ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ამ გამარჯვებით თბილისელებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიეღოთ უძლიერესი კოლექტივების საშემოდგომო პირველობაში.

თბილისის „დინამომ“ წარმატებით დაამთავრა პირველი წელი უმაღლეს ლიგაში — „ა“ ჯგუფში. გუნდმა შეჯიბრში მხოლოდ ერთი თამაში წააგო და მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თბილისის „დინამო“ შეიქმნა და იგი ყოველთვის ცდილობს საპატიოდ ატაროს ქართული საბჭოთა სპორტის სახელი.

ამ ბრძოლაში მან მრავალჯერ ისახელა თავი და გულწრფელად გაახარა თავისი გულშემატკივრები.

## საგულისხმო სტრიქონები

ბრძენი რომ თავდაყირა დაკიდო, სიბრძნე მაინც მაღლა ეჭირება.

ბრძენი არასოდეს არ იტყვის — არ შევცდები!

საქმეს თუ თავზე არ დაადექი, თავზე წამოგაჭდება.

ზოგიერთი დასაცინი — თვითონ აქეთ დაგვცინის.

კარგი კაცი ხალხს უკვდება, ცუდი — თავის თავს.

თავს ლაფი ზოგიერთს თავსთაფლი ჰგონია.

უკეთესია გააკეთო, ვიდრე თქვა — გავაკეთებო.

ლომს რომ დასცინო, მაინც ლომი იქნება.

სხვას რომ უკვირდები, შენ თავსაც დაუკვირდი.

სამართლიანი უარი სჯობს უსამართლო თანხმობას.

ჯიბის ღონიერებას თავის გონიერება სჯობს.

ნუ გაიცინებ იმიტომ, რომ მხოლოდ მოვალეობა მოიხადო.

სიკეთე მძიმეა, მაგრამ წყალში არ იძირება.

შოთა ნათიძე

# თითქმის დაუჯერებელი



● სტოკჰოლმის მახლობლად 36 წლის ლენარტ მალმგრენმა და 17 წლის ვანი პერსონმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს... ცეკვაში.

ისინი ცეკვავდნენ... 22 საათი და 15 წუთი.

მოცეკვავეები ყოველი საათის შემდეგ 5 წუთი ისვენებდნენ, იღებდნენ საკვებს, ეწეოდნენ თუთუნს.

● ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ინგლისში საშუალოდ 85.000 კაცი გამუდმებით ემალება თავის... კანონიერ ცოლს.

ოჯახიდან გაქცევის მიდრეკილება მამაკაცებს განსაკუთრებით უვითარდებათ 40-50 წლის ასაკში.



● გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, რომში მოიტაცეს სასიამოვნო შეხედულების, რამდენჯერმე დიპლომით დაჯილდოებული... ძაღლი.

პოლიციამ მოახერხა დამნაშავეების აღმოჩენა. ისინი აღმოჩნდნენ ქალები, რომლებსაც სურდათ ხელი მოეთბოთ ძაღლით.

● შვეციის ერთ-ერთი სადაზღვევო საზოგადოება აზღვევს ახლადდაქორწინებულებს... განქორწინების შემთხვევისათვის.

სადაზღვევო გადასახადი, ცხადია, ყოველწლიურად [illegible] და უფრო იზრდება.



● ინგლისელმა ვინმე ალის უოლისმა, რომელიც 87 წლის ასაკში გარდაიცვალა, მთელი თავისი ქონება — 30.000 გირვანქა სტერლინგი ოფიციალური ანდერძით დაუტოვა... ბანკს.

თავის ანდერძში უოლისი წერდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მას ყველა ატყუებდა, ყველა ცდილობდა გამოეძალა ფული, ერთადერთი შემწე და ნამდვილი მეგობარი ჩემთვის მხოლოდ ბანკი იყოო, დასძენდა ალის უოლისი.




● დასავლეთ ბერლინში მოწყობილი წიგნის საერთაშორისო გამოფენა დაათვალიერა 18.798 კაცმა.

ჯიშიანი კატების საერთაშორისო გამოფენა, რომელიც აგრეთვე დასავლეთ ბერლინში მოეწყო, დაათვალიერა... 20.000 ადამიანმა.

● ფეხბურთში თავისებური რეკორდი დაამყარა პელემ, რომელმაც შეძლო გაეტანა 1.000 გოლი.

ეს რეკორდი მოხსნა მხოლოდ ცნობილმა მოზამბიკელმა თავდამსხმელმა ეუსებიომ. ეუსებიომ, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის კლუბ „ნიუ ჯერსში“ თამაშობს, ამას წინათ გაიტანა მე-1.001 გოლი.

● „გორილების ხელოვნება“ ასე ეწოდება გამოფენას, რომელსაც კვირადღეობით აწყობს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ზოოპარკი.

გორილების მიერ შესრულებული თითოეული ნახატი... 20 დოლარად იყიდება.



● შარშან სასამართლოში მისცეს ახლადდაქორწინებული 268 სამხრეთაფრიკელი. მათ ბრალად ედებოდათ კანონის დარღვევა: ქორწინება თეთრკანიანებთან.

● რომის მესვეურებმა სასტიკად აკრძალეს პარლამენტის მახლობლად გამოეკრათ რეჟისორ შაურო სევერინოს ახალი ფილმის — „გრცხვენოდეთ, შეგაჩვენოთ!“ კინოაფიშა.

ხელისუფალთ ეშინიათ, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა კინოფილმის სახელწოდება შეიძლება საკუთარ თავზე მიიღოს...

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. ელექტრომაგნიტური მოწყობილობა, რომელიც გამაძლიერებლის საშუალებით გადმოსცემს გრამაფონის ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას. 6. ფერების შეხამება, რაც ქმნის სურათის, ორნამენტის, მოზაიკისა და სხვათა გარკვეულ მთლიანობას. 8. ხელსაწყო, რომლითაც არკვევენ სითხის სიმკვრივეს, მის ხვედრით წონას. 11. გემის განივი კოჭი, რომელიც ბორტებს აერთებს და ამავე დროს წარმოადგენს გემბანის ფუძეს. 14. სახელმწიფო — ევროპაში. 15. ძველი რომაული ხომალდი, რომელსაც სამ იარუსად ჰქონდა ნიჩბები. 16. კუდიანი ვარსკვლავი. 17. ლორწოვანი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე. 21. აგურის სახით დაპრესილი რაიმე ფხვიერი მასალა. 22. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც შედგება ატომგულისა და ელექტრონებისაგან .23. ხის საჭრისი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ ძერწვისას. 26. ჯიბის საათის მექანიზმის მთავარი რეგულატორი (ქანქარას შემცვლელი). 27. ოფიციალური მოწმობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ. 28. ქაღალდის ან აბრეშუმის მემბრანა ხმის გასაძლიერებლად.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მომწამლავი ნივთიერება, რომელიც აზიანებს სასუნთქი ორგანოების ლორწოვან გარსს. 2. სიგრძის საზომი ერთეული. 3. რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის მცენარეთა ყველა სახეობის ერთობლიობა. 4. სახურავის მასალა, აზბესტისა და ცემენტის ნარევისაგან გაკეთებული ცეცხლგამძლე და წყალგაუვალი ფილები. 7. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული. 9. ასტრონომიის სპეციალისტი. 10. მოწყობილობა მფრინავის ავტომატურად ამოსატყორცნად თვითმფრინავიდან (კოსმოსურ ხომალდიდან). 12. ძაბრისებრი ჩაღრმავება ვულკანის თავზე. 13. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან. 18. აპარატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ რაიმე სამუშაოს ასრულებს შიდამექანიზმის საშუალებით. 19. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე. 20. დეკორატიული ცრუ არკების, თაღების რიგი—შენობის ფასადზე. 24. ტროპიკული ხე, რომლის თესლისაგანაც ამზადებენ შოკოლადს. 25. მანძილი, შუალედი ორ ვერტიკალურ ხაზს შორის ტაბულებში.

შეადგინა ᲕᲐᲟᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲐᲫᲔ

გარეკანის პირველ გვერდზე: „მეგობრები“. ანზორ გოგოლაძის და ჯავარ ლომაძის ფოტოეტიუდი.

გადაეცა ასაწყობად 6 IX-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.X-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.000 შეკვ. 2313 უე 00937 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типографии издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება..

მხატვარი

ჯემალ ლოლუა

ეროვნული ბიბლიოთეკა






— რას აკეთებ, ძია?
— ღვინოს.



— ბიჭო ისევ მთვრალია; რატომ არ ართმევენ უფლებებს?
— ფხიზელს თუ ვნახავ; მაშინ ვეტყვი.



— რატომ გადამიყვანეთ სხვა განყოფილებაში?
— თურმე ხვრინავ და სხვებს არ აძინებ.



— ყოჩაღ, შენი აზრი ჩემს აზრს დაემთხვა,
— ჩვენი აზრები ყოველთვის დამთხვეულია.

# ქაქალა გულში



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოჯინები





ანზორ გოგოლაძის და ჯავარ ლომაძის ფოტო.



